პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 15 (19457) ◆ შაბათი, 18 იანვარი, 1986 წელი. ◆ ფასი 4 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის

დელეგატთა საყურადღებოდ

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს მიმდინარე წლის 22 და 23 იანვარს დილის 10 საათიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში.

ტელეფონი: 93-73-47.

მტკიცე მშვიდობის პროგრამა

დიდი ინტერესი გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებამ, რომელშიც წამოყენებულია ახალი დიდ საგარეო-პოლიტიკურ ინიციატივათა კომპლექსი. საქმე ეხება საეტაპო დოკუმენტს მტკიცე და საყოველთაო მშვიდობისათვის ლენინური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ბრძოლაში. ჩვენს ქვეყანას სახლობა სამსჯავრზე, მთავრობათა განსახილველად გამოაქვს 2000 წლისათვის ბირთვული იარაღის სრული და საყოველთაო ლიკვიდაციის, თვითმხმობის საფრთხისაგან კაცობრიობის განთავისუფლების, დედამიწელთა ახლანდელი და მომავალი თაობების სიმშვიდე უშიშროების უზრუნველყოფის პროგრამა.

ორმხრივნაირია დრო, როცა ეს დიდი მიზანი შეგანილია, მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგში პრაქტიკული განხორციელებისათვის. დადგა სკკპ XXVII ყრილობის წელი, რომელიც მიიღებს ჩვენი შვიდწლიანი მშენებლობის დაჩქარების პროგრამას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებით 1986 წელი მშვიდობის საერთაშორისო წლად არის გამოცხადებული.

საერთაშორისო ასპარეზზე საჭიროა გარღვევები უკეთესობისაკენ. მას ელიან, მას მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ხალხები, მთელი მსოფლიოს ხალხები. ამის გათვალისწინებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და საბჭოთა მთავრობამ მიიღეს გადაწყვეტილება მთელი რიგი დიდი, პრინციპული ხასიათის საგარეო-პოლიტიკური აქციების თაობაზე.

„მათი აზრით, — აღნიშნულია განცხადებაში, — მაქსიმალურად შეუწყონ ხელი საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებას. ასევე ნაკარნახევია აუცილებლობით დაჩქარებული ეკონომიკური, კონფლიქტიანი ტენდენციები, ბოლო წლებში რომ გაძლიერდა, ეკავალოთ გზა, რათა შეიკვეცოს გამალებული ბირთვული შეიარაღება დედამიწაზე და არ გავრცელდეს იგი კოსმოსში, საერთოდ შემცირდეს ომის საშიშროება. ხალხებმა ერთიერთობის განუყოფელ კომპონენტად დამკვიდრდეს ნდობა“.

ამ აქციებიდან მთავარია მთელ მსოფლიოში ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის კონკრეტული, დროის ზუსტად განსაზღვრული პერიოდისათვის გათვალისწინებული პროგრამა. დიდი ხანია დადგა დრო კაცობრიობას თავიდან აცილოთ შიში ბირთვული კატასტროფის წინაშე, კაცობრიობის გენის დიდი აღმოჩენა — ატომის ენერგია ჩავაყენოთ მხოლოდ მშვიდობის, ხალხთა კეთილდღეობის სამსახურში. და ეს რეალური, შესაძლისი საქმეა, თუ მას ხელს მოკიდებთ დაუყოვნებლივ — 1986 წლიდანვე.

საბჭოთა კავშირი წინადადებას იძლევა ეტაპობრივად და თანამიმდევრულად, განვახორციელოთ და დავამთავროთ ბირთვული იარაღისაგან დედამიწის განთავისუფლების პროცესი უახლოეს 15 წლის განმავლობაში, შემდეგი საუკუნის დასაწყისამდე.

პირველი ეტაპი გულისხმობს, რომ 5-8 წლის განმავლობაში სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ერთიორად შეამცირებენ ბირთვულ შეიარაღებას, რომელიც ერთმანეთის ტერიტორიას აღწევს. ასეთი მატარებლებზე, რომლებიც მათ რჩებათ, შენარჩუნებული იქნება სულ ბევრი 6000-6000 მუხტი.

გასაგებია, რომ ასეთი რადიკალური შემცირება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები უარს იტყვიან დაჩქარული კოსმოსური შეიარაღების შექმნაზე, გამოცდასა და განლაგებაზე. ასეთი იარაღის შექმნა კი, როგორც არაერთხელ გაუფრთხილებია საბჭოთა კავშირს, გააქარწყლებს ქვეყნად ბირთვული შეიარაღების შემცირების იმედებს.

პირველ ეტაპზე მხედველობაში გვაქვს ევროპის ზონაში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საშუალო სიზუსტის რაკეტებს — როგორც ბალისტიკური, ისე ფრთოსანი რაკეტების — ლიკვიდაცია. ეს იქნება ბირთვული იარაღისაგან ევროპის კონტინენტის განთავისუფლების გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი. ოდესღაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამასთან უნდა იკისროს ვალდებულება თავისი სტრატეგიული რაკეტები და საშუალო სიზუსტის რაკეტები არ მიაწოდოს სხვა ქვეყნებს, ინგლისმა და საფრანგეთმა კი არ გაზარდონ თავიანთი შესაბამისი ბირთვული შეიარაღება.

მეორე ეტაპზე, რომელიც უნდა დაიწყოს ხელ გვიან 1990 წელს და 5-7 წელიწადს გასტანს, ბირთვულ განიარაღებას შეუერთდებიან დანარჩენი ბირთვული ხახელმწიფოები. სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ამ პერიოდში განაგრძობენ შემცირებას, რაზეც ისინი შეთანხმდნენ პირველ ეტაპზე. აგრეთვე განახორციელებენ საშუალო სიზუსტის თავიანთი ბირთვული შეიარაღების ლიკვიდაციის შემდგომ ღონისძიებებს და გაუნაგენ თავიანთ ტაქტიკურ ბირთვულ საშუალებებს.

მას შემდეგ, რაც სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები დაამთავრებენ თავიანთი შესაბამისი შეიარაღების შემცირებას 50 პროცენტით მეორე ეტაპზე, გადადგმება კიდევ ერთი რადიკალური ნაბიჯი — ყველა ბირთვული სახელმწიფო მოსპობს ტაქტიკურ ბირთვულ იარაღს.

ამავე ეტაპზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის მორიგება დამკვრელი კოსმოსური შეიარაღების აკრძალვის შესახებ შეიძლება გახდეს მრავალმხრივი, ამასთან მასში მონაწილეობა აუცილებლად უნდა მიიღოს ყველა წამყვანმა სამხედროსახელმწიფომ. ყველა ბირთვული სახელმწიფო შეწყვეტს ბირთვული იარაღის გამოცდას.

მესამე ეტაპი დაიწყება სულ გვიან 1995 წელს, რომლის დროს დამთავრდება ჯერ კიდევ დარჩენილი ბირთვული შეიარაღების ლიკვიდაცია. 1999 წლის დამლეგისათვის დედამიწაზე აღარ დარჩება ბირთვული იარაღი, შემუშავდება უნივერსალური მორიგება იმის თაობაზე, რომ ეს იარაღი აღარასოდეს აღდგეს.

საბჭოთა წინადადებანი მასშტაბური, აქტუალური, კონკრეტულია. „ვარსკვლავეთის ომების“ ამერიკული გეგმისაგან განსხვავებით, რომელიც ოთვალსაჩინეს ახალი დამკვრელი კოსმოსური იარაღის შექმნას ბირთვული ენერგიის გამოყენებით, ჩვენი პროგრამა ნამდვილად ბირთვული იარაღის მოსპობის პროგრამაა.

ამ დიადი მიზნისადმი პრაქტიკულ მიდგომას ადასტურებს საბჭოთა კავშირის კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა განაცხადა, ჩვენ სამი თვით ვანაგრძელებთ ყველა ბირთვული აფეთქების ცალმხრივ მორატორიუმს, რომელსაც ვადა გაუვიდა 1985 წლის 31 დეკემბერს. ეს არის კეთილი ნების ახალი დიდი აქტი. მორატორიუმის განგრძობა სულაც არ იყო იოლი გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირისათვის. მას არ შეუძლია დაუსრულებლად იჩიჩქნეს ცალმხრივ თავშეკავებას ბირთვული გამოცდების მიმართ. მაგრამ საკითხი ძალზე სერიოზულად დგას, ბოლო დროა პასუხისმგებლობა მშვიდობის ბედისათვის და ამიტომ უნდა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა, რომ მაგალითით მოვახდინოთ ზემოქმედება სხვათა პოზიციაზე. ამერიკის შეერთებულ შტატებს ეძლევა დამატებითი დრო, რათა აწონ-დაწონოს ბირთვულ აფეთქებათა შეწყვეტის შესახებ ჩვენი წინადადებანი და გასცეს მათ პოზიტიური პასუხი. ხალხები ელიან და მოითხოვენ ვაშინგტონისაგან, ამ საკითხისადმი სერიოზული მიდგომას. ამერიკის მხარე ვერ ელევა სამხედრო უპირატესობის ქიმერას — ეს უნაყოფო და საშიში პოლიტიკაა. სსრ კავშირი წინადადებას იძლევა დავადგეთ გონივრული და პასუხისმგებლური გადაწყვეტილებების მიღების გზას.

ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს მოლაპარაკებას ბირთვულ და კოსმოსური შეიარაღების შესახებ, რომელიც ახლდება ჟენევაში. საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის დროს გადაწყვიტეს დაეჩქარებინათ იგი და ეს მორიგება არ შეიძლება დეკლარაციად დარჩეს. ამერიკის მხარე კონსტრუქციულად უნდა მიუდგეს, უწინარეს ყოვლისა, კოსმოსის საკითხს. კოსმოსი მშვიდობიანი უნდა დარჩეს, იქ არ უნდა განლაგდეს დამკვრელი შეიარაღება. იგი არც უნდა შეიქმნას. არ დავუშვათ, რომ გამალებული შეიარაღება გავრცელდეს დედამიწისიგვლივ სივრცეში, — ნიშნავს გავუკვალოთ გზა ბირთვული შეიარაღების ღრმა შემცირებას.

უაღრესად მნიშვნელოვანია ბირთვული პრობლემის ევროპული ასპექტი. კონტინენტზე უშიშროების პირობები სულ უფრო უარესდება. დროა ბოლო მოვუღოთ მოგლენათა ასეთ განვითარებას, გავკვეთოთ ეს ყორდიას კვანძი. საბჭოთა წინადადებანი, გავათავისუფლოთ ევროპა როგორც საშუალო სიზორის, ისე ტაქტიკური ბირთვული იარაღისაგან, ძალაში რჩება.

ამ მიმართულებით პირველი, რადიკალური ნაბიჯი საბჭოთა კავშირმა ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის პროგრამის უკვე პირველ ეტაპზე დასახა. სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ ახალი საბჭოთა ინიციატივების მნიშვნელოვანი ნაწილი უშუალოდ ევროპას ეხება. მას შეიძლება წ�ხვდეს განსაკუთრებული მისია — დაძაბულობის შენელების ახალშენებლობის მისია.

2000 წლისათვის ბირთვული იარაღის სრულ ლიკვიდაციასთან ერთად საბჭოთა კავშირს საკუთარი რეალურად მიაჩნია ის ამოცანა, რომ ამავე ვადისათვის სრული ლიკვიდაცია ვუყოთ მასობრივი მოსპობის ისეთ ბარბაროსულ იარაღსაც, როგორიც ქიმიურია. ამასთან ჩვენმა ქვეყანამ წამოაყენა წინადადება ამ იარაღის და თვით მისი დამამზადებელი სამრეწველო ბაზის ნაცვალვების საფუძველზე ლიკვიდაციის შესახებ. სსრ კავშირის წინადადებანი ამ დარგში უაღრესად მნიშვნელოვანია. ისინი საშუალებას ქმნის დაჩქარდეს მოლაპარაკება, რათა დაიდოს ეფექტიანი და კონტროლს დაქვემდებარებული საერთაშორისო კონვენცია ქიმიური იარაღის აკრძალვისა და მისი მარაგის მოსპობის შესახებ, როგორც ეს დათქვეს ჟენევის შეხვედრაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის განცხადებაში წამოყენებული ახალი ინიციატივების კომპლექსი მოიცავს განიარაღებისათვის, ყველა ხალხის ნდობის აღდგენის, მშვიდობიანი მომავლისა და პროგრესის პერსპექტივების განმტკიცებისათვის საქმიანობის ყველა უმნიშვნელოვანეს მიმართულებას და სფეროს. დიდმნიშვნელოვანი კონსტრუქციული მოსაზრებებია გამოთქმული ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ ვენის მოლაპარაკების თაობაზე. დასახულია ევროპაში ნდობის, უშიშროების განმტკიცების ღონისძიებებისა და განიარაღების სტოკჰოლმის კონფერენციაზე გადასაჭრელი პრობლემების გადაწყვეტის გზა. ამ საუკუნის დამლეგისათვის ბირთვული და ქიმიური იარაღის ლიკვიდაციის პროგრამის განხორციელება თვისებრივად ახალ საფეხურზე აიყვანს აგრეთვე უშიშროებას აზიაში, წვლილს შეიტანს აზიის ყველა ქვეყანასთან ერთად პლანეტის ამ ყველაზე დიდ და დასახლებულ კონტინენტზე უშიშროებისა და მტკიცე მშვიდობის სისტემის შექმნისადმი საერთო კომპლექსური მიდგომის ძიებაში.

საბჭოთა პროგრამა ილაშქრებს გამალებული ბირთვული შეიარაღების სტაქიის წინააღმდეგ. იგი გამსჭვალულია პრობლემების გადაჭრისადმი გაბედული, ნოვატორული მიდგომით, ამასთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობა აქვს განცხადებაში ჩამოყალიბებულ საბჭოთა პოზიციას მოსახლობი და შესაზღუდი შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში. სსრ კავშირი პრაქტიკულად მზად არის განახორციელოს ასეთი ყველაზე მკაცრი კონტროლის ყველა ღონისძიება, იქნება ეს კონტროლი ინსპექციის ჩათვლით, ქიმიური იარაღის ლიკვიდაციის თუ ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებისადმი და ა. შ. ყოველივე ეს უკუაგდებს ჩვეულ შიშს, რომელთაც ცდილობდნენ შენელებულიყვნენ გამალებული შეიარაღების შეწყვეტის მოწინააღმდეგენი. სსრ კავშირისათვის კონტროლი არ არის პრობლემა, პრობლემაა პოლიტიკური და კეთილი ნება, რომელიც უნდა დაამტკიცონ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ნატოს სხვა ქვეყნებმა, რომლებიც სატყვით განიარაღების მომხრენი არიან.

მთელი მსოფლიო ხედავს, რომ საბჭოთა კავშირი ამ საქმეში უკან არ დაიხევს. უფრო მეტიც, იგი მიზანდასახულად იღვწის თანამედროვეობის კარდინალური პრობლემების გადაჭრისათვის, ამას აღწევს საკუთარი მაგალითის, კონსტრუქციული იდეების, რეალისტური საქმიანი წინადადებების ძალით, რომლებიც ემყარება თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპს, როგორც ცალკეულ რეგიონებში, ისე მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს. გაცამტვერდა საყოველთაოდ ცნობილი ნატოს მონაცემი „საბჭოთა სამხედრო საფრთხის“ შესახებ. ასეთი წინადადებებისა და ღონისძიებების დასახვა შეუძლია მხოლოდ სახელმწიფოს, რომელიც ნამდვილად ამკვიდრებს ქვეყნად მშვიდობასა და უშიშროებას. ახალი საბჭოთა წინადადებანი ეხება არა მარტო მთავრობებს, არამედ ყველა ხალხს, მთელ საზოგადოებრივ ძალებსა და ომის საწინააღმდეგო მოძრაობებს, ყველა კეთილი ნების ადამიანს. და ეს გასაგებიც არის. მშვიდობის შენარჩუნება, ბირთვული ომის საშიშროებისაგან კაცობრიობის ხსნა ყველას და თითოეულს საქმეა. მისი წარმატების უზრუნველყოფა მოითხოვს მშვიდობისათვის მებრძოლი მთელი ძალების დარაზმვას, ძალისხმევის გაერთიანებას, გააქტიურებას. უბრთვო მსოფლიოს საბჭოთა პროგრამა შეესაბამება ყველა ხალხის მისწრაფებებს. მას უდავოდ მხურვალედ დუჭერს მხარს მილიონობით ადამიანი მთელ დედამიწაზე.

განცხადების მთელი შინაარსი ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის კიდევ ერთი კონკრეტული გამოვლინებაა. წამოყენებული კონსტრუქციული წინადადებანი 1985 წლის აპრილის პლენუმის გეზის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში დასახული მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის კურსის პრაქტიკული გამოხატულებაა. სსრ კავშირის ახალი აქციები გამოხატავს საბჭოთა ხალხის ერთიან მისწრაფებას — ეწეოდეს აღმშენებლობითს შრომას, მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდეს ყველა ხალხთან. საბჭოთა ადამიანები მხურვალედ იწონებენ და მხარს უჭერენ ახალ მტკიცე აქციებს მშვიდობის დაცვისა და მთელი საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის. ისინი ამ აქციებს მიიჩნევენ ჩვენი სამშინაო და საგარეო პოლიტიკის არსისა და სულისკვეთების, მათი ორგანული მონოლითურობის გამოვლინებად. შრომით განმტკიცებენ ისინი მშვიდობის საქმეს. ყველგან უართოდ გაიშალა შეჯიბრება სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავად. მიმდინარეობს დიდი მუშაობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის.

საბჭოთა კავშირი კიდევ უფრო მაღლა სწევს მშვიდობის, თავისუფლებისა და ბუმანიზმის დროშას, რომელიც პლანეტის თავზე დიდმა ოქტომბერმა აიფრიალა.

● მიმდინარე წელი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მშვიდობის საერთაშორისო წლად გამოაცხადა, გადავაქციოთ კაცობრიობის ისტორიაში შემობრუნების პუნქტად, ყოველი ღონე ვიხმაროთ ბირთვული ომის საფრთხის ლიკვიდაციისათვის, ბოლო მოვუღოთ გაძალებულ შეიარაღებას და გზა გავუხსნათ მშვიდობის განმტკიცების პროცესს — ასეთი აზრი გასდევდა ლაიმტოტივად თბილისის კამეოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“ მოწყობილ ხალხმრავალ მიტინგზე გამოსული ყველა ორატორის სიტყვას. მიტინგი გახსნა საწარმოს პარტკომის მდივანმა ო. ნადირაძემ.

— მე ვიცი, რა არის ომი, — თქვა დიდი სამამულო ომის ვეტერანმა, უბნის ოსტატმა პ. ჩხაიძემ, — ეს არის სიკვდილი და ნგრევა, შიმშილი და ტანჯვა. ჩვენ არ უნდა დაუშვათ ომის გაჩნევრება და ამიტომაც ვუჭერთ მხარს დედამიწაზე გამალებული ბირთველი შეიარაღების შეწყვეტას, ბირთვული იარაღის მარაგის ლიკვიდაციის ეფექტიანი გზების გამონახვას.

ვეტერანს მხარი აუბა მრთველმა ნინა ხუციშვილმა: რაოდენ ახლობელი და გასაგებია ჩვენთვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვები ომის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეცადინეობის ძირითადი მიზანია საბჭოთა ხალხის ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესება, — თქვა მან. — და ჩვენც, კომბინატის მუშაკები, ვცდილობთ საკუთარი წვლილი შევმატოთ ამ დიდ და კეთილშობილურ საქმეს. ახლა ჩვენს საწარმოში რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. 1985 წელს შევცვალეთ ტექნოლოგიური დანადგარების მესამედი, გაისად მთლიანად განახლდება მოწყობილობა, რაც გაგვაუმჯობესებინებს პროდუქციის ხარისხს და გაგვაფართოებინებს მის ასორტიმენტს. ახლა მთავარია მოხდეს ბარდატეხა უკეთესობისაკენ საერთაშორისო ასპარეზზეც. ამას ელიან. ამას მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ხალხები, მთელი მსოფლიოს ხალხები.

მიტინგზე გამოვიდა აგრეთვე კომბინატის კომკავშირის კომიტეტის მდივანი გ. ხიზანიშვილი, საწარმოო გაერთიანების ინსტრუქტორი ზ. ხარაიშვილი და სხვები. ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში მიტინგის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს მთელ მსოფლიოში ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის პროგრამას.

● სოხუმის საწარმოო გაერთიანება „ორგტექნიკის“ ყველა საამქროს, ცვლის, ქვეგანაყოფის წარმომადგენლები შეიკრიბნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადების მხარდასაჭერად გამართულ მიტინგზე.

მიტინგი გახსნა გაერთიანების პარტკომის მდივანმა ი. თურავამ. მგზნებარებით, მსოფლიოს ბედიღლისათვის ღრმა შეშფოთებით იყო გამსჭვალული სიტყვები, რომლებითაც გამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სახალხო მოხმარების საქონლის საამქროს მუშა ნ. ბგანბა, გაერთიანების კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ა. ჩოკორაია, ინჟინერი, ომისა და შრომის ვეტერანი ი. ცომაია.

— ჩვენ ხმას ვაძლევთ მშვიდობას, — თქვა მიტინგზე ინჟინერ-კონსტრუქტორმა მ. ჯღარკავამ. — თითოეული ჩვენთაგანი მზად არის მთელი ძალ-ღონე მოახმაროს მის განმტკიცებას. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა მთავრობის ახალი ინიციატივა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ნათელი ხვალინდელი დღისაკენ, იმ დღისაკენ მიმავალ გზაზე, რომელსაც აღარ დაჩრდილავს ბირთვული ომის საფრთხის ავბედითი ღრუბელი.

მიტინგები მოეწყო აფხაზეთის სხვა შრომითს კოლექტივებშიც.

ჩვენი გარჯა და შემართება — პარტიის ყრილობებს!



როცა ლენინის ორდენოსან სამმართველო „თბილისგვირაბმშენში“ კოლექტივის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე კისრულობდნენ ახალი ხუთწლედის პირველი წლის სოციალისტურ ვალდებულებებს, კომუნისტებმა გამოიჩინეს ინიციატივა გამალონ შრომითი მეტოქეობა დევიზით: სკკპ XXVII ყრილობას — დიდეფექტიანი, ორგანიზებული შრომა. ამ წინადადებას ერთხმად დაუჭირეს მხარი.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის კურდამამავრებული ბ. სონღულაშვილი პარტიული კომიტეტის მდივნად არჩევამდე მუშაობდა მიწისქვეშა უბნებზე, ხელმძღვანელობდა კომკავშირულ ორგანიზაციას, იყო პარტკომის მდივნის მოადგილე.

ახალი ჰორიზონტები დაისახეს გვირაბგამყვანებმა 1986 წლისათვის. მათ გადაწყვიტეს მალი ხარისხით დაამთავრონ ცალკეული ობიექტები თბილისის მეტროპოლიტენის იმ ხაზების გაგრძელებაზე, სადაც უნდა ამოქმედდეს ორი სადგური — „ავჭალის გზატკეცილი“ და „გლდანი“, 1986 წლის 7 ნოემბრისათვის კი როკის ავტოსაგზაო გვირაბის მშენებლობა.

შუბტებსა და უბნებში, გვირაბებში და გეოლოგიურ სამუშაოებზე იცნობენ და პატივს სცემენ საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატს, „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს პარტკომის მდივანს ბ. სონღულაშვილს.

სურათზე: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებზე მსჯელობს „თბილისგვირაბმშენის“ კომუნისტთა წინამძღოლი ბ. სონღულაშვილი (ცენტრში) მეტროპოლიტენის გლდანის ხაზის № 20 უბნის გვირაბგამყვანებთან ერთად; მალე ახალი მიწისქვეშა გვირაბებით პირველი ელექტრომატარებლები გაივლიან.

ბ. შარაშენიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პასუხისმგებლობა ხალხთა ბედ-იღბლისათვის

მთელ მსოფლიოში ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის კონსტრუქციული პროგრამა, რომელიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებაში, კიდევ ერთხელ დამაჯერებლად ცხადყოფს ჩვენი ლენინური პარტიის მტკიცე და თანამიმდევრულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს. საქართველოს მშრომელები, რომლებიც ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად მხურვალედ იწონებენ და უჭერენ მხარს ამ კურსს, კანონიერი სიამაყის გრძნობით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს ღრმად აქვთ შეგნებული ისტორიული პასუხისმგებლობა ხალხთა ბედ-იღბლისათვის, კაცობრიობის მომავლისათვის. ამ დღეებში მიმდინარე ხალხმრავალი მიტინგებისა და კრებების დროს, თავიანთ გამოსვლებში სსრ კავშირის ახალ საშშვიდობო ინიციატივებზე რესპუბლიკის მშრომელები გამოხატავენ მზადყოფნას კონკრეტული წვლილი შეიტანონ მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებაში.

მხურვალედ იწონებენ

კონსტრუქციული წინადადებანი

ჩვენ საუკუნის, ათასწლეულის დამლეგს ვცხოვრობთ. იმაზე, გადაწყვეტთ თუ არა უმთავრეს პრობლემას — შეგვნარჩუნოთ მშვიდობა, დამოკიდებულია, ექნება თუ არა გაგრძელება კაცობრიობის ისტორიას. ჩვენს თაობას დაეკისრა უდიდესი პასუხისმგებლობა. ჩვენ ვართ ადამიანთა პირველი თაობა, რომელმაც შეიგნო, რომ შეიძლება უკანასკნელი თაობა აღმოჩნდეს, დამთავრდეს კაცობრიობის ისტორია.

მომავლის წინაშე ჩვენი თაობის პასუხისმგებლობის მწვავე შეგრძნებით არის განმსჭვალული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადება. ამ განცხადებაში ჩამოყალიბებული ახალი კონსტრუქციული წინადადებანი მიზნად ისახავს, რომ კაცობრიობამ შეაბიჯოს მშვიდობიან მომავალში. 1986 წელი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მშვიდობის წლად გამოაცხადა, დაიწყოს კაცობრიობას დაამთაფროს მეცხრე საუკუნე მშვიდობისა და ბირთვული განიარაღების ნიშნით.

ჩვენი რესპუბლიკის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა მოიცავს პრაქტიკულად მოსახლეობის ყველა ფენას. უფრო მასობრივი გახდა ომის საწინააღმდეგო აქციები, უფრო მრავალფეროვანი — საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის საქმიანობის მიმართულებანი. ბოლო წლებში ერთისამად და მეტად გაიზარდა საქართველოს მცხოვრებთა წვლილი საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდში. ისინი ამას სჩადიან გულის კარნახით, ქვეყნად მშვიდობის, ბავშვების ბედნიერი მომავლისათვის. აი რატომ ვუჭერთ ერთსულოვნად მხარს მ. ს. გორბაჩოვის განცხადებას. იგი ეხმიანება ჩვენი რესპუბლიკის ასათასობით მშრომელის აზრებს მშვიდობის შესახებ. იგი შეესაბამება პლანეტის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების იმედებს.

ა. ალექსიძე,
საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორი.

შაბათობა გვიხმობს

● **ტყიბული.** (საკ. კორ.). საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წინადადებას — მოეწყოს სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავი საკავშირო კომუნისტური შაბათობა, — დიდი მოწონებით შეხვდა გელათის ტრანსფორმატორების ქარხნის სამასკაციანი მოწინავე კოლექტივი.

მეტრანსფორმატორეები ერთხმად აცხადებენ, რომ შაბათობის დღეს იმუშავებენ გაორკეცებული ენერგიით და შესრულებული სამუშაოები მხოლოდ საუკეთესო ხარისხის იქნება.

ორივე ცვლაში გამოუშვებენ 18 ათასი მანეთის პროდუქციას. დამზადდება 500 ცალი მცირე სიმძლავრის ტრანსფორმატორი, 150 ცალი მათგან საექსპორტო იქნება. შაბათობის დღეს 2 ბრიგადა იმუშავებს დაზოგილი მასალებით, მეთორმეტე ხუთწლედის ფონდში 1000 მანეთი გადაირიცხება.

● **ამბროლაური.** (საკ. კორ.). კომუნისტურ შაბათობაზე მე-10 საგზაო-სამშენებლო სამმართველოს (უფროსი — შ. ქვანაშვილი) 250 კაცი მიიღებს მონაწილეობას. ისინი ქუთაის-ონის საავტომობილო გზატკეცილზე შეასრულებენ რკინა-ბეტონის სამშენებლო სამუშაოებს, ხოლო ამბროლაურტყიბულის გზაზე შეუდგებიან ხოტევის კაპიტალური ხიდის აგებას, მიწით მოზვინავენ გზის ვაკისს. გამომუშავებული სახსრებიდან 500 მანეთი ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება.

გაორკეცებული ენერგიით იმუშავებს რაიონის მეორე დიდი სამრეწველო საწარმოს — „საქსაზღვინომრეწის“ ამბროლაურის ღვინის ქარხნის (დირექტორი — ე. ბაკურაძე) კოლექტივი. კომუნისტური შრომის ზეიმზე მადლობა ყველა მუშა და მოსამსახურე. შესრულდება სულ ცოტა 20 ათასი მანეთის სამუშაოები. გამომუშავებული თანხა — 110 მანეთი მეთორმეტე ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებზე

პარტიული მომთხოვნელობით

აშხაბადი. 17 იანვარი. (საკკინ). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სპარეგრამო დოკუმენტების მაორგანიზებელი და დამრაზმველი ძალით განირობებულ აქტიურ და საქმიან ვითარებაში მოვიდნენ თურქმენეთის კომუნისტები რესპუბლიკის კომპარტიის XXIII ყრილობაზე, რომელიც დღეს გაიხსნა აშხაბადში. დელეგატები პრინციპული პოზიციებიდან, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში აფასებენ მიღწეულს, ერმანეთს უზიარებენ აზრს ეკონომიკის მართვის დაწყებული ორეული გარდაქმნის, ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის გზებზე, აკვლენენ რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დაჩქარების გამოუყენებელ რეზერვებს.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. ა. ნიაზოვმა.

მეურნეობრიობის, მუშაობის დრამოქმეული მეთოდებისაგან მტკიცე გამიჯვნის ახალ პირობებში უნდა გავზარდოთ კომუნისტთა ავანგარდული როლი, ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობის დონე, თქვა მან.

ყრილობის დელეგატებმა აღნიშნეს, რომ ხუთწლედის განმავლობაში არ მომხდარა შესამჩნევი ცვლილებები სოფლის მეურნეობაში. სერიოზული ნაკლოვანებანია ვაკრობაში, მომსახურების სფეროში, ჯანმრთელობის დაცვაში.

აკვლენენ რა ნაკლოვანებებს ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობაში, დელეგატებმა მკაცრად გააკრიტიკეს წვრილმანი მეურნეობისა და სამეურნეო ხელმძღვანელობის მაგიერობის დამკვიდრებული ტენდენცია, ცალკეული მუშაკების მისწრაფება ძველი მეთოდებით გადაწყვიტონ ახალი ამოცანები.

დელეგატებმა ხაზგასმით აღნიშნეს საწარმოო და საზოგადოებრივ ურთიერთობაში ადამიანის ფაქტორის მზარდი როლი და თქვეს, რომ იდეოლოგიურ მუშაობაში ყველაფერი რიდი გაკეთდა ფორმალიზმის, ლაყბობის, პრაქტიკისაგან მოწყვეტის აღმოსაფხვრელად.

დელეგატებმა მოისმინეს თურქმენეთის კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორ

პარტიული ცხოვრება: კომუნისტის ზნეობრივი ნორმა

ვეტერანთა სახელით...

IN DEO — ხელფასის დღე იყო — თანამშრომლები რიგრიგობით შემოდიოდნენ ოთახში პარტიის საწევროს გადასახდელად. პარტბიუროს მდივანი უწყისებს ყოველ წუთში სეიფში არ ინახავდა. მაგიდაზე ედო. „უცხო აქ არავინ შემოდის, ერთი კოლექტივია, ოჯახივით ვართ, საშიში რა არის, ვინ ახლეს ხელს. ბოლოს და ბოლოს, ვის რაში სჭირდება საწევრო ანარიცხების უწყისები“, — ფიქრობდა. მერე მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებში ეს უწყისები თვალს მოეფარა. და როდესაც მინისტრმა ყოველდღიურ საქმეებთან დაკავშირებით თავისთან უხმო, ქაღალდებისთვის ყურადღება აღარც მიუქცევია, ისე გავიდა ოთახიდან. მაშინ რას იფიქრებდა, რამ ხელი დავიდარაბა მოჰყვებოდა ამ ვითომდა უმნიშვნელო დაუდევრობას. ბრალდების რა ფორმად გარდაისახებოდა ეს ტიპური უყურადღებობა.

ოთახში მობრუნებულს მაგიდაზე უწყისები აღარ დახვედრია, უკვალოდ გაქრა.

გავა ამ ამბიდან ცოტა ხანი, და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში, საბურთალოს რაიკომში და „კომუნისტის“ რედაქციაში მიიღებენ წერილს, სადაც ვეტერანი კომუნისტების სახელით უკმაყოფილებას გამოთქვამენ საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის, სამინისტროს პარტიული ორგანიზაციის სუსტი მუშაობისათვის. რისხვის მახვილი ძირითადად პარტბიუროს მდივნის ზურაბ ბაღათურიასკენ არის მიმართული. მისი ამ პოსტზე არჩევის დღიდან, თურმე „სამინისტროში ჩაკვდა იდეური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა!“ ამის კონკრეტულ დადასტურებად სამინისტროს პოლიტაღმზრდელობითი საქმიანობის გულშემატკივრებს არაფერი აგონდებათ გარდა იმისა, რომ... თურმე პარტბიუროს მდივანი თავის დროზე არ კრეფს საწევრო ანარიცხებს (აქ მოვლენებს წინ უნდა გავუსწრო: — მაგ ბრალდებით მაგის დამწერი პარტიის წესდების სრული უცოდინრობის მეტს ვერაფერს ამჟღავნებს, — თქვა ამ საკითხზე საუბრისას სამინისტროს ვეტერანმა კომუნისტმა გერონტი ზარქუაშ. რას ქვია „დროზე არ კრეფს საწევროს“. თუ საწევრო დროზე არ იკრიფება, ესე იგი ჩვენ ვართ დამნაშავენი, თითოეული კომუნისტი და არა ერთი რომელიმე კონკრეტული პიროვნება, ვინც უნდა იყოს იგი. ეს ყველა ჩვენგანის ცილისწამებაა), სამაგიეროდ პარტბიუროს მდივნის, რბილად რომ ვთქვათ, არაკომპეტენტურობის მამხილებელი საბუთი წარმოდგენილია— ხანძრები ადიგენის, ახალციხის, ბორჯომის რაიონებში, აჭარასა და ბახმაროში. და ბოლოს, ყველაზე მთავარი ბრალდება: „ტყეების რესპუბლიკური დათვალიერების დროს ზ. ბაღათურია დათვრა და დაკარგა კომუნისტთა საწევრო ანარიცხების უწყისები“.

აქ გასარკვევი მხოლოდ ერთი მეტისმეტად მარტივი რამ არის: რად უნდოდა დათვალიერებაზე სამხრეთ ოსეთის ტყე-ღრეში წასულ კაცს თან უწყისების წაღება. უამისოდ ჩვენი რესპუბლიკის ფლორის დათვალიერება არ მოხერხდებოდა?

სატყეო მეურნეობის სამინისტროს პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, სადაც ზ. ბაღათურიამ პარტბიუროს ანგარიში წარუდგინა კომუნისტებს, მან ხაზი გაუსვა ერთ თხოვნას, უფრო ზუსტად, მოთხოვნას კრების მონაწილეთა მიმართ — მოდით, ვთქვათ სათქმელი, ნუ მოვერიდებით ერთმანეთს, ვიყოთ გულახდილნი, მართალნი ერთმანეთის და საკუთარი თავის წინაშე. რატომღაც ხშირად თავს ვარიდებთ ხოლმე სიმართლის პირში თქმას. დავარღვიოთ ტრადიცია. ნაკლის დაფარვა მარტო უპრინციპობა კი არა, დანაშაულია. ჯობს აქ ვთქვათ ყველაფერი, ერთად ვეძიოთ გამოსწორების გზები, „ვიდრე კულისებიდან ვესროლოთ ერთმანეთს ლაფი“ — ფიქრში ვაგრძელებ სათქმელს.

ზოგჯერ მართლაც ძნელია იყო ბოლომდე პრინციპული.

უფრო იოლია — იჯდე საიმედო საფარში საგულდაგულოდ შენინღბული და მოწამლულ ისრებს ისროდე, მერე ასევე დათვივით მობღუნძული ბინძური სოროდან უყურებდე, რა მოჰყვება თითოეულ მათგანს.

მაგრამ იოლია კი ეს?

ძნელი კია კაცს პირდაპირ უთხრა, რომ ის რაიმეს ისე ვერ აკეთებს, როგორც საჭიროა, ამაზე ადვილია განა ტალახის გუნდების სროლა?

ეტყობა, ადამიანს გააჩნია.

ზნეობრივი კრიტერიუმები მრავალგვარია. ვის რა ეძნელება და ეიოლება, იმითაც შეიძლება სულის გამოცნობა.

არ არის უფრო ძნელი ჭურდულად, ფეხაკრეფით მიიპარო მოწინავეთა დაფასთან და იქიდან თანამოსაქმის სურათი ჩამოხსნა, ვიდრე გულწრფელად უთხრა იგივე კაცს, რომ რაღაც ეშლება.

არ არის, მაგრამ სამინისტროში ესეც მოხდა. სწორედ საანგარიშო-საარჩევნო კრების წინა დღეებში მოწინავეთა დაფიდან გაქრა ღირსეული პიროვნების, ომისა და შრომის ვეტერანის ფოტოსურათი.

ყველაფერმა ამან განაპირობა ზემოხსენებული მოთხოვნა — გულწრფელნი ვიყოთო. მაგრამ დათვის ბუნაგიდან გამოყვანა არ მოხერხდა. და ამაში მოულოდნელი არც არაფერი ყოფილა— ცილისმწამებელს (საერთოდ) ხალხთან პირისპირ დგომის ეშინია, რადგანაც თავადვე იცის საკუთარი უსამართლობა, იცის, რომ საგანგებოდ მოგონილი სალანძღავი ზედსართავი სახელებისთვის ყველაზე უბადრუკი და მწირი არგუმენტებიც კი არა აქვს ხელთ. ლანძღვა იოლია, კონკრეტული ფაქტებით მისი მტკიცება — ძნელი. ვიზუალურ ფენომენს არგუმენტაცია არ სჭირდება. მშვენიერება და სიგონჯე თავისთავად ფაქტია, თვალით აღიქმება, და შეხედვის მეტი არაფერი უნდა. იმგვარი ცნებები კი, როგორიც არის ადამიანის უპასუხისმგებლობა, უცოდინარობა, გულგრილობა, თუ კონკრეტული მაგალითებით არ განამტკიცებ, საპნის ბუშტს ემგვანება, მყარ საგანს შეეხება თუ არა, ჰაერშივე ქრება. ასე გამქრალა არა ერთი და ორი ცილისმწამებლური მონაჩმახი საქმის რეალურ ვითარებასთან მიმართებაში. ასე თითებშუა სილასავით ჩაილია ზურაბ ბაღათურიას მისამართით ყურითმოთრეული საყვედურებიც. ის კი, ვინც ვეტერანი კომუნისტების სახელით ცრუმართლმეტყველის როლს ეჩემებდა, თავის ბინძურ სოროში დარჩა გამოუმზიურებელი. კოლექტივში ვერ დაადგინეს წერილის ნამდვილი ავტორის ვინაობა.

ხშირად ისეც მომხდარა — დათვს რომ ხედავენ და კიდევ კვლავ დაეძებენ ხოლმე. სინამდვილეში ყველამ იცის, ვისი უკუღმართი ხელი ურევს წმინდა წყალს და ყველას მაინც წყალი აქვს ჩაგუბებული პირში. ყველა დუმილს არჩევს. ამგვარი პოზიცია უკეთურებისათვის ყველაზე ნოყიერ ნიადაგს ქმნის და უწმინდური სულიც დაუსრულებლად სარგებლობს ამით.

კოლექტივი ძლიერი, ჯანსაღი ორგანიზმია. მას შეუძლია მტკიცედ უთხრას უარი მიუღებელ ნორმებს. ერთი იაპონური თქმისა არ იყოს, „სიკეთე და ბოროტება ერთ უღელში შებმულნი დიდხანს ვერ ივლიან“. და არც უნდა იარონ. თუ ვიაძულებთ, იარონ, ამით ისევ მხოლოდ სიკეთე დაზარალდება. ბოროტება (ცილისწამება კი ქვეყნად ყველაზე დიდი ბოროტებაა) ფესვძლიერია და ძირფესვიანად მოგლეჯის მეტი არაფერი შველის. ერთხელ, ორჯერ რომ შეუფალ კედლად დახვდებიან ადამიანები მას, არ შეიძლება არ შედრკეს ისიც, არ უკუიქცეს.

ცილისწამების, როგორც უბადრუკი და უსახური მოვლენის ბოროტება იქნა მიღებული მხედველობაში, როდესაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1985 წლის 19 ნოემბრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში (137-ე მუხლი) დამატების სახით შევიდა პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ანონიმურ წერილში ასახული ცილისწამებისათვის ცილისმწამებლის სისხლის სამართლის წესით დასჯას. და ეს სავსებით დროული და მისაღებია, რადგან დღევანდელობა ბევრს მოითხოვს თითოეული ჩვენგანისაგან, ყველას წილ უამრავი საქმე მოდის და ადამიანთა ენერგია, პოტენცია სწორედ მას უნდა მოხმარდეს და არა უკეთურებასთან უაზრო, უსიამოვნო, დამღლელ, არაფრისმომცემ ბრძოლას.

გ. ხარებავილი.

1967 წლის მაისში ზუგდიდი რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი გახდა. აშენდა ფაბრიკა-ქარხნები, მწყობრში ჩადგა არსებული საწარმოების ახალი ნიმძლავრეები. ახლა აქ მზადდება რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის 2,3 პროცენტი, რაც ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 4 ათას მანეთზე მეტს შეადგენს.

ცალკეული სახეობის პროდუქციის მიხედვით ზუგდიდს გამორჩეული ადგილი უკავია რესპუბლიკაში: უშუალებ ქალაქსა და ფაიფურს. მეოთხემეტე ხუთწლედში კი აქ სხვა სახეობის სამრეწველო პროდუქციის გამოშვებაც დაიწყო. ამ პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი გახლავთ პოზიტიური ძვრები ეკონომიკის დარგში, დაძაბული. ხუთწლიანი გეგმა-ვალდებულებების უთოო და სტაბილური შესრულება.

თუ როგორ აღწევენ ყოველივე ამას ქალაქის მუშათა კოლექტივები და მათი პარტიული ორგანიზაციები, რა პერსპექტივებია დასახული, ამ და სხვა კითხვებზე „კომუნისტის“ სპეციალურ კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი კლიმენტი ჯანჯღავა.

სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად

გაანვიხილავთ პარტიის ყრილობისწინა დოკუმენტებს

ქალაქის პოტენციალი

— შედარებით ახალ სამრეწველო ქალაქს, — თქვა კ. ჯანჯღავამ, — თავისი სპეციფიკა აქვს, უპირველესად, ეს გახლავთ ტლანქი, დაკოჭრილნელებიანი ახალგაზრდები, რომლებიც გუშინ მუშაობდნენ ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში, მეცხოველეობის ფერმებში, საკოლმეურნეო ზვრებში, ბევრი კი პირდაპირ სამუშაოლ სკოლის მერხიდან მოვიდა საწარმოში. „მგრძნობიარე“ მანქანები, თითოეული დეტალი და მექანიზმი თავისებურ სათუთ მიდგომას მოითხოვს. ეს შეუჩვეველი, გამოუცდელი ხელისათვის იოლი საქმე როდია. სწორედ ამის მიზეზითაც არის, რომ ფაიფურის ქარხნის მიერ გამოშვებული სახალხო მოხმარების საქონელი ვერ აკმაყოფილებს მომხმარებელთა დღევანდელ გემოვნებას და არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს.

ყველაზე მთავარ ამოცანად დაგისახეთ მუშების დაოსტატება. ამ მიზნით, ქვეყნის დიდი საწარმოების სპეციალისტების დახმარებით, ადგილზე შეკმენით ახალგაზდა მუშების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. გარკვეული დროის მანძილზე კი მათ დასაოსტატებლად გგზავნიდით ქვეყნის სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხანაში. ამავე დროს ვეძებდით ზუგდიდელ სპეციალისტებს, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ რესპუბლიკის გარეთ დაიწყეს მუშაობა, გადავწყვიტეთ, მოგვეზიდა ისინი შშობლიურ ქალაქში, თუმცა ეს დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენი ქალაქი არ იყო მზად, შეექმნა მათთვის ისეთივე პირობები, როგორშიც სხვაგან უხდებოდათ მუშაობა. მაგალითად, ვერ უზრუნველყოფდით ბინით, ცხელი და ცივი წყლით, გათბობით, ეს საკითხი დღემდე არ არის მოგვარებული. მიუხედავად ამისა, ბევრმა ზუგდიდელმა გულთან მიტანა შშობლიური ქალაქის პირველამი და უყოყმანოდ დაუბრუნდა მას.

ასე ნელ-ნელა, ხატოვნად რომ ვთქვათ, მუშის სპეციალისტადლი იმოსება ქალაქი. ახალგაზრდა მუშებმა უახლოეს დროში აითვისეს ყველაზე თანამედროვე ინდუსტრიული პროფესიები. ერთი სიტყვით, შრომთს კოლექტივებში იქნება ისეთი ეკონომიკური პირობები, ფსიქოლოგიური კლიმატი, რომლებიც ხელს უწყობს გეგმა-ვალდებულებების შესრულებას, რესურსების ყაირათიან ხარჯვას და ადამიანებს აძლევს სტიმულს იმუშაონ დიდნაყოფიერად, უზადოდ, ინიციატივიანად.

წარმატების ფონზე გამოირჩევა ჩაის კომბინატის მუშაობა. იგი ეროვნული ამოცანაა განვამტკიცოთ მეცნიერებისა და წარმოების კავშირი, შევაძენათ მეცნიერები, ტექნიკისა და წარმოების ინტეგრაციის ისეთი ორგანიზებული ფორმები, რომლებიც შესაძლებელობას მოგვცემს უზრუველყოთ მეცნიერული იდეების შეუფერხებელი და სწრაფი მცდელობა ჩასახვიდან წარმოებაში პრაქტიკულ გამოყენებამდე“.

„სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანის“ პროექტიდან.

ხობის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მტკიცედ აწორციელებენ XXVI ყრილობის მიზანდასახულობებს, მეოთრმეტე ხუთწლედში თვალსაჩინო გამარჯვება მოიპოვეს. გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიეყიდა 8. 710 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, — 6 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, — 1.379 ტონა ხილი, 10,6 ტონა აბრეშუმის პარკი, 2.500 ტონა სიმინდის მარცვალი, 676 ტონა დაფნის ფოთოლი; აგრეთვე სხვა პროდუქტები. რაიონის სოფლის მეურნეობა მტკიცედ დაადგა ეკონომიკის არსებითი გაუმჯობესების გზაზე.

რაიონის სპბაზო საზოგადოებრივ მეურნეობებში ინდუსტრიული ტექნოლოგიით დაითესა სიმინდის მარტივი ჰიბრიდი „ენგურ-9“ და ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 100 ცენტნერამდე მარცვალი. 1.620 ჰექტარ ახლად გაკულტურებულ სათბაცხოვრებზე დაითესა მრავალწლოვანი ბალახები შერევით და მიღებულია დიდადღუთითიანი საკვები.

საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის, ნიადაგთმცოდნეობისა და აგროქიმიის, მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის, მიწათმოწყობის, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის, „საქსახწყალპროექტის“ ინსტიტუტების შემოქმედებითი თანამშრომლობით შეიქმნა და ექსპლუატაციაში ჩაეშვა ხობის ოროსანი ტიპის ექსპერიმენტული ირიგაციული სისტემა. ამ ობიექტზე ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე ჩატარებული ფართომასშტაბიანი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების საფუძველზე ეფექტიანად ამოქმედდა ინოვაციური ტექნოლოგია. ეს ტექნოლოგია ეფუძნება ნიადაგის ზედაპირული ირიგაციის ინტენსიურ ფორმებს, ანუ ნიადაგის ზედაპირზე ნაკადის ფენად გადინებას. ეს ფენა ეფექტურად ანოტავს ნიადაგის ზედაპირ ნაწილებს, ანადგურებს ბალახებს, ანიავებს ნიადაგს, ანადგურებს ბაქტერი

ფაქტები • მოვლენები
ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატი ანგარიშს აბარებს

ამომრჩევლებთან შეხვედრების ერთიანი კვირეული

სკკკ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას მიეძღვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ამომრჩევლებთან შეხვედრების ერთიანი კვირეული, რომელიც რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში მოეწყო. გამართული დიალოგის საქმიანობა და მომთხოვნლობა განსაზღვრა სკკკ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ოქტომბრის პლენუმების გადაწყვეტილებებმა, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოტანილმა პარტიის საყრილობო დოკუმენტებმა, რომლებიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გაგრცობილ კონცეფციას შეიცავენ.

ანგარიშს აბარებდნენ რა ამომრჩევლებს, დეპუტატები განუმარტავდნენ მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს, აცნობდნენ ქვეყნისა და რესპუბლიკის ეკონომიკაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე თვისებრივ გარდაქმნებს, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუხარობებისა და კულტურული დონის ამაღლების ღონისძიებებს. თითოეულმა დეპუტატმა ამომრჩევლებს მოახსენა მათი განაწესების რეალიზაციის შესახებ, რა გაკეთდა უკვე და რა არის გასაკეთებელი. მაგალითად, ამომრჩევლებმა, რომლებიც ადიგენში შეიკრიბნენ თავიანთ დეპუტატთან შესახვედრად, მაღლიერებით ილაპარაკეს, რომ შესრულდა მათ მიერ წინა შეხვედრაზე მსცემული განაწესები, კერძოდ, რაიონის მაღალმთიან სოფლებში, როცა საკუთარი მასალების ნაცვლად, ადგილობრივი რადიომაუწყებლობის რედაქცია უმთავრესად რაიონულ გაზეთში დაბეჭდილ მასალებს გადასცემს. მაგალითად, გაგრაში ფირზე იწერენ საქალაქო გაზეთში დაბეჭდილ წერილებს. იშვიათად თუ გამოჩნდება სხვა ხასიათის მასალები. როგორც პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებაში განმარტეს, კორესპონდენტ-ორგანიზატორი მწერალი ვლადიმერ ჯოლოგუა „მოუცლელი ყაცია, ხშირად არის შემოქმედებითს მივლინებაში და არავითარი უხერხულობა არ იქმნება, თუ ადგილობრივი მაუწყებლობის სარედაქციო საქმიანობა გაზეთის ტექსტების კითხვით შემოიფარგლება, რესპუბლიკური რადიოც ხომ კითხულობს გაზეთების მიმოხილვასო!“ ცხადია, ასეთი პოზიცია ნაკლებად შეესაბამება მასობრივი ინფორმაციიის საშუალებებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპებს. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ გაგრის ადგილობრივი მაუწყებლობის რედაქციას სტუდია კი აქვს, მაგრამ სამუშაო ოთახი — არა. ამ საკითხზეც მართები გაგრელებს დაფიქრება.

უარესი მდგომარეობაა გულრიფშის რაიონში, სადაც ადგილობრივი რადიომაუწყებლობის ბევრი ნაკლია. პარტიული და საბჭოთა მუშაკები, საწარმოთა ხელმძღვანელები ყველგან სათანადოდ არ იყენებენ რადიომაუწყებლობის პროპაგანდისტულ და მორგანიზებელ ძალას, ზეგრელედ ხელმძღვანელობენ ადგილობრივი რადიომაუწყებლობის სარედაქციო საქმიანობას.

მარნეულის, დმანისის, ვანის, ამბროლაურის, ონის და ზოგიერთ სხვა რაიონში ჯერაც არ გაუმახვილებიათ ყურადღება და გადაცემათა თემატიკაში არ შეუტანიათ მასალები, რომლებიც დისკიპლინის დარღვევებს და სხვა ნეგატიურ მოვლენებს ასახავდა.

მაგალითად, ლანჩხუთის რაიონში, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ყურადღებიდან გამორჩენიათ მუქთახორობა. მაშინ როდესაც, ამ საკითხებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ორფეიერის დროს მარტო ამ რაიონში მრავალი უსაქმური გამოვლინდა. ვფიქრობთ, აქ კომენტარი ზედმეტია.

ასევე ადგილობრივი მაუწყებლობის ბევრი სხვა რედაქცია (ბოლნისი, ვანი, ლენტეხი, მაიაკოვსკი, მარნეული) თავისი გადაცემებით ფაქტობრივად არც კი გამოხმაურებია რესპუბლიკაში მოწყობილ შრომითი რესურსების გამოყენების, მუქთახორობასთან ბრძოლის გაძლიერების ორფეიერებს.

ხშირად გეგმები ფორმალურად, მოვალეობის მოხდის მიზნით მტკიცდება, არ ამოწმებენ, დროულად გადაიცემა თუ არა დაგეგმილი მასალები, არ აანალიზებენ მათ თემატურ-ჟანრობრივი თვალსაზრისით და სხვა. ასეთი მდგომარეობაა ლანჩხუთის, ლენტეხის, ჩოხატაურის, მარნეულის, ბოლნისის, ვანის, ონის, ტყვარჩელის, გულრიფშის და სხვა რაიონებში. უფრო მეტიც, პარტიის ზოგიერთი რაიონული კომიტეტი არ ზრუნავს ამ დარგის მუშაკთა პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებისათვის. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის არაერთგზის მოწვევის მიუხედავად ლენტეხის, ლენინგორის, ზნაურის რაიონებმა ვერასოდეს ვერ მოახერხეს კორესპონდენტ-ორგანიზატორთა მივლინება, არადა, ეს ღონისძიება ხომ საგრძნობლად დაეხმარებოდა მათ კვალიფიკაციის ამაღლებაში.

სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა ადგილობრივი რადიომაუწყებლობის რედაქცია უმთავრესად რაიონულ გაზეთში დაბეჭდილ მასალებს გადასცემს. მაგალითად, გაგრაში ფირზე იწერენ საქალაქო გაზეთში დაბეჭდილ წერილებს. იშვიათად თუ გამოჩნდება სხვა ხასიათის მასალები. როგორც პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებაში განმარტეს, კორესპონდენტ-ორგანიზატორი მწერალი ვლადიმერ ჯოლოგუა „მოუცლელი ყაცია, ხშირად არის შემოქმედებითს მივლინებაში და არავითარი უხერხულობა არ იქმნება, თუ ადგილობრივი მაუწყებლობის სარედაქციო საქმიანობა გაზეთის ტექსტების კითხვით შემოიფარგლება, რესპუბლიკური რადიოც ხომ კითხულობს გაზეთების მიმოხილვასო!“ ცხადია, ასეთი პოზიცია ნაკლებად შეესაბამება მასობრივი ინფორმაციიის საშუალებებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპებს. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ გაგრის ადგილობრივი მაუწყებლობის რედაქციას სტუდია კი აქვს, მაგრამ სამუშაო ოთახი — არა. ამ საკითხზეც მართები გაგრელებს დაფიქრება.

უარესი მდგომარეობაა გულრიფშის რაიონში, სადაც ადგილობრივი რადიომაუწყებლობის

ადგილობრივი რადიომაუწყებლობა: როგორ მუშაობს იგი?

ყოველდღე ასიათასობით ადამიანი ისმენს რადიოს ხმას, იგი აწვდის მათ პლანეტის ახალ ამბებს, ცნობებს რესპუბლიკის ყველა კუთხიდან. დღითიდღე იზრდება მისი გამოყენების სფერო. სიტყვა ეთერში წამიერად ცოცხლობს. ამტომაც რადიოს თანამშრომლების ამოცანაა უფრო შემოქმედებითად, მაძიებლურად მოეკიდონ თავიანთ საქმეს, საინტერესოდ მოამზადონ გადაცემები, ყოველი ღონე იხმარონ მსმენელთა დაინტერესებისათვის, მიაღწიონ იმას, რომ ყოველი რადიოგადაცემა რაც შეიძლება დიდხანს დარჩეს მათს მეხსიერებაში.

მართლაც რომ, განსაზღვრელია რადიოს სიკეთე, და მით უფრო ცუდია, რომ ამ მხრივ რესპუბლიკაში მთლად რიგიანად არა გვაქვს საქმე. ეს განსაკუთრებით ადგილობრივი რადიომაუწყებლობის მუშაობას ეხება, სადაც სამუშაროდ, ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. პარტიული და საბჭოთა მუშაკები, საწარმოთა ხელმძღვანელები ყველგან სათანადოდ არ იყენებენ რადიომაუწყებლობის პროპაგანდისტულ ძალას, ზეგრელედ ხელმძღვანელობენ ადგილობრივი რადიომაუწყებლობის სარედაქციო საქმიანობას.

მარნეულის, დმანისის, ვანის, ამბროლაურის, ონის და ზოგიერთ სხვა რაიონში ჯერაც არ გაუმახვილებიათ ყურადღება და გადაცემათა თემატიკაში არ შეუტანიათ მასალები, რომლებიც დისციპლინის დარღვევებს და სხვა ნეგატიურ მოვლენებს ასახავდა.

მაგალითად, ლანჩხუთის რაიონში, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ყურადღებიდან გამორჩენიათ მუქთახორობა. მაშინ როდესაც, ამ საკითხებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ორფეიერის დროს მარტო ამ რაიონში მრავალი უსაქმური გამოვლინდა. ვფიქრობთ, აქ კომენტარი ზედმეტია.

ასევე ადგილობრივი მაუწყებლობის ბევრი სხვა რედაქცია (ბოლნისი, ვანი, ლენტეხი, მაიაკოვსკი, მარნეული) თავისი გადაცემებით ფაქტობრივად არც კი გამოხმაურებია რესპუბლიკაში მოწყობილ შრომითი რესურსების გამოყენების, მუქთახორობასთან ბრძოლის გაძლიერების ორფეიერებს.

ხშირად გეგმები ფორმალურად, მოვალეობის მოხდის მიზნით მტკიცდება, არ ამოწმებენ, დროულად გადაიცემა თუ არა დაგეგმილი მასალები, არ აანალიზებენ მათ თემატურ-ჟანრობრივი თვალსაზრისით და სხვა. ასეთი მდგომარეობაა ლანჩხუთის, ლენტეხის, ჩოხატაურის, მარნეულის, ბოლნისის, ვანის, ონის, ტყვარჩელის, გულრიფშის და სხვა რაიონებში. უფრო მეტიც, პარტიის ზოგიერთი რაიონული კომიტეტი არ ზრუნავს ამ დარგის მუშაკთა პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებისათვის. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის არაერთგზის მოწვევის მიუხედავად ლენტეხის, ლენინგორის, ზნაურის რაიონებმა ვერასოდეს ვერ მოახერხეს კორესპონდენტ-ორგანიზატორთა მივლინება, არადა, ეს ღონისძიება ხომ საგრძნობლად დაეხმარებოდა მათ კვალიფიკაციის ამაღლებაში.

სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა საკუთარი მასალების ნაცვლად, ადგილობრივი რადიომაუწყებლობის რედაქცია უმთავრესად რაიონულ გაზეთში დაბეჭდილ მასალებს გადასცემს. მაგალითად, გაგრაში ფირზე იწერენ საქალაქო გაზეთში დაბეჭდილ წერილებს. იშვიათად თუ გამოჩნდება სხვა ხასიათის მასალები. როგორც პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებაში განმარტეს, კორესპონდენტ-ორგანიზატორი მწერალი ვლადიმერ ჯოლოგუა „მოუცლელი ყაცია, ხშირად არის შემოქმედებითს მივლინებაში და არავითარი უხერხულობა არ იქმნება, თუ ადგილობრივი მაუწყებლობის სარედაქციო საქმიანობა გაზეთის ტექსტების კითხვით შემოიფარგლება, რესპუბლიკური რადიოც ხომ კითხულობს გაზეთების მიმოხილვასო!“ ცხადია, ასეთი პოზიცია ნაკლებად შეესაბამება მასობრივი ინფორმაციიის საშუალებებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპებს. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ გაგრის ადგილობრივი მაუწყებლობის რედაქციას სტუდია კი აქვს, მაგრამ სამუშაო ოთახი — არა. ამ საკითხზეც მართები გაგრელებს დაფიქრება.

უარესი მდგომარეობაა გულრიფშის რაიონში, სადაც ადგილობრივი რადიომაუწყებლობის

საჭიროა მეტი პასუხისმგებლობა, დახმარება

ჭოთა მუშაკები, საწარმოთა ხელმძღვანელები ყველგან სათანადოდ არ იყენებენ რადიომაუწყებლობის პროპაგანდისტულ და მორგანიზებელ ძალას, ზეგრელედ ხელმძღვანელობენ ადგილობრივი რადიომაუწყებლობის სარედაქციო საქმიანობას.

მარნეულის, დმანისის, ვანის, ამბროლაურის, ონის და ზოგიერთ სხვა რაიონში ჯერაც არ გაუმახვილებიათ ყურადღება და გადაცემათა თემატიკაში არ შეუტანიათ მასალები, რომლებიც დისციპლინის დარღვევებს და სხვა ნეგატიურ მოვლენებს ასახავდა.

მაგალითად, ლანჩხუთის რაიონში, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ყურადღებიდან გამორჩენიათ მუქთახორობა. მაშინ როდესაც, ამ საკითხებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ორფეიერის დროს მარტო ამ რაიონში მრავალი უსაქმური გამოვლინდა. ვფიქრობთ, აქ კომენტარი ზედმეტია.

ასევე ადგილობრივი მაუწყებლობის ბევრი სხვა რედაქცია (ბოლნისი, ვანი, ლენტეხი, მაიაკოვსკი, მარნეული) თავისი გადაცემებით ფაქტობრივად არც კი გამოხმაურებია რესპუბლიკაში მოწყობილ შრომითი რესურსების გამოყენების, მუქთახორობასთან ბრძოლის გაძლიერების ორფეიერებს.

ხშირად გეგმები ფორმალურად, მოვალეობის მოხდის მიზნით მტკიცდება, არ ამოწმებენ, დროულად გადაიცემა თუ არა დაგეგმილი მასალები, არ აანალიზებენ მათ თემატურ-ჟანრობრივი თვალსაზრისით და სხვა. ასეთი მდგომარეობაა ლანჩხუთის, ლენტეხის, ჩოხატაურის, მარნეულის, ბოლნისის, ვანის, ონის, ტყვარჩელის, გულრიფშის და სხვა რაიონებში. უფრო მეტიც, პარტიის ზოგიერთი რაიონული კომიტეტი არ ზრუნავს ამ დარგის მუშაკთა პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებისათვის. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის არაერთგზის მოწვევის მიუხედავად ლენტეხის, ლენინგორის, ზნაურის რაიონებმა ვერასოდეს ვერ მოახერხეს კორესპონდენტ-ორგანიზატორთა მივლინება, არადა, ეს ღონისძიება ხომ საგრძნობლად დაეხმარებოდა მათ კვალიფიკაციის ამაღლებაში.

სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა საკუთარი მასალების ნაცვლად, ადგილობრივი რადიომაუწყებლობის რედაქცია უმთავრესად რაიონულ გაზეთში დაბეჭდილ მასალებს გადასცემს. მაგალითად, გაგრაში ფირზე იწერენ საქალაქო გაზეთში დაბეჭდილ წერილებს. იშვიათად თუ გამოჩნდება სხვა ხასიათის მასალები. როგორც პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებაში განმარტეს, კორესპონდენტ-ორგანიზატორი მწერალი ვლადიმერ ჯოლოგუა „მოუცლელი ყაცია, ხშირად არის შემოქმედებითს მივლინებაში და არავითარი უხერხულობა არ იქმნება, თუ ადგილობრივი მაუწყებლობის სარედაქციო საქმიანობა გაზეთის ტექსტების კითხვით შემოიფარგლება, რესპუბლიკური რადიოც ხომ კითხულობს გაზეთების მიმოხილვასო!“ ცხადია, ასეთი პოზიცია ნაკლებად შეესაბამება მასობრივი ინფორმაციიის საშუალებებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპებს. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ გაგრის ადგილობრივი მაუწყებლობის რედაქციას სტუდია კი აქვს, მაგრამ სამუშაო ოთახი — არა. ამ საკითხზეც მართები გაგრელებს დაფიქრება.

უარესი მდგომარეობაა გულრიფშის რაიონში, სადაც ადგილობრივი

---

17 იანვარი ● საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობის ახალი ქმედითი იმპულსი

ბირთვული და ქიმიური იარაღისაგან პლანეტის დაბთავისუფლების ფართო მასშტაბის კონსტრუქციული პროგრამა, რომელიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის საერთაშორისო ოცნების — ქვეყნად მტკიცე და საიმედო მშვიდობის უზრუნველყოფის მიღწევის შესანშნავ შესაძლებლობას ქმნის, განაცხადა ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ფამ ვან დონგმა.** ახალი საბჭოთა კომპლექსური სამშვიდობო წინადადებანი კვლავ ცხადყოფენ სსრ კავშირის უდიდეს პასუხისმგებლობას ახლანდელი და მომავალი თაობების ბედისათვის. საბჭოთა კავშირის კეთილშობილური პოზიციის, მისი ურყევი კეთილი ნების ძაფები დადასტურება გახდა გადაწყვეტილება მოქმედების ვადა გაუგრძელოს ყველა ბირთვული აფეთქების ცალმხრივ მორატორიუმს. საბჭოთა ხელმძღვანელის მოწოდებას ბოლო მოუღოს ბირთვულ საფრთხეს, ფართოდ ეხმაურება საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყველა ფენა. იგი მშვიდობისა და სიცოცხლისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობის ნათელი იდეალებისათვის მთელი ომის საწინააღმდეგო ძალების ბრძოლის შემდგომი აღმავლობის ახალი ქმედითი იმპულსი გახდა. ამ დოკუმენტს ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ვიეტნამელი ხალხი მთლიანად უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებულ რეალისტურ მშვიდობისმოყვარულ პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს ბირთვული და ქიმიური შეიარაღების ყოველსმომცველი აღმოფხვრისათვის, კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის დაუშვებლობისათვის ბრძოლას. ჩვენ მოვუწოდებთ შეერთებულ შტატებსა და სხვა ბირთვულ სახელმწიფოებს, მიბაძონ სსრ კავშირის მაგალითს, შეუერთდნენ საბჭოთა ინიციატივებს, ერთად იარონ სრული ბირთვული განიარაღების, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცების გზით.

ჩეხოსლოვაკიის **„რუდე პრავო“** წერს: ლენინური საგარეო პოლიტიკის ტრადიციების სულისკვეთებით საბჭოთა კავშირმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების გზაზე. „თვალსაჩინო ინიციატივები, რომლებიც ჩამოყალიბებულია მ. ს. გორბაჩოვის განცხადებაში, მშვიდობისათვის ბრძოლის ახალ ეტაპს ქმნის. მოსკოვის ფართო მასშტაბის წინადადებანი ეხება თანამედროვეობის ყველაზე აქტუალურ პრობლემებს, ისინი სახავენ დედამიწაზე ბირთვული იარაღის ლიკვიდაციისა და კოსმოსის მილიტარიზაციის თავიდან აცილების გზას. უახლოესი მომავალი გვიჩვენებს, თუ რამდენად შეესაბამება ამერიკის იდმინისტრაციის მშვიდობისმოყვარული რიტორიკა მის რეალურ საქმეებს.

„მიხეილ გორბაჩოვმა, — წერს **„ნიუ-იორკ ტაიმსი“**, — დასახა საუკუნის დამლევისათვის ყოველგვარი ბირთვული შეიარაღების მოსპობის დაწვრილებითი გეგმა და გამოაცხადა, რომ საბჭოთა კავშირმა მოქმედების ვადა გაუგრძელა ბირთვული გამოცდების მორატორიუმს“. როგორც ხაზგასმით აღინიშნავს **„ვაშინგტონ პოსტი“**, „საბჭოთა წინადადებები პირდაპირ არის დაკავშირებული „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის მიმართ სსრ კავშირის მტკიცე ოპოზიციასთან. მოსკოვი აღნიშნავს, რომ კოსმოსური შეიარაღების პრობლემის გადაჭრის დაბრკოლება ნიშნავს, რომ არ გსურს დედამიწაზე გამალებული შეიარაღების შეწყვეტა.

როგორც ამერიკის **ასოშიეიტედ პრესის** სააგენტო იუწყება, საბჭოთა კავშირის პოზიციის არსი ის არის, რომ შესაძლებელია შეგაჩეროთ ბირთვული შეიარაღების სრულყოფის და ახალი ასეთი შეიარაღების დახვეწის პროცესი. და ეს შესაძლებლობა ხელიდან არ უნდა გავუშვათ. მოსკოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის წინადადებანი სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს თანაბარ მდგომარეობაში აყენებს. ამერიკის იდმინისტრაციას კვლავ აქვს დამატებითი დრო, რათა აწონ-დაწონოს საბჭოთა წინადადებანი და პოზიტიური პასუხი გასცეს მათ. ამერიკის **იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის** სააგენტო იუწყება: მოსკოვმა განაცხადა, რომ ბირთვული აფეთქებებისადმი კონტროლი არ არის პრობლემა სსრ კავშირის ამერიკის შეერთებული შტატების შეწყვეტს ორმხრივ საფუძველზე ყველა ბირთვულ აფეთქებას, მორატორიუმის დაცვისადმი სათანადო კონტროლი მთლიანად შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს ეროვნული ტექნიკური საშუალებებით, აგრეთვე საერთაშორისო პროცედურების მეოხებით.

შეიარაღებისადმი კონტროლის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უენევის მოლაპარაკების ახალი რაუნდის დაწყების წინ წამოყენებულ ახალ საბჭოთა ინიციატივებს **შთამბეჭდავი** უწოდა **ეი-ბი-სი ტელეკომპანიამ.** ამერიკის მეორე ტელეპროგრამის **ენ-ბი-სის** მიმომხილველმა თქვა: „ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის პროგრამა რომ წამოაყენა, საბჭოთა ხელმძღვანელმა, დრამატული გამოწვევა გაუგზავნა თეთრ სახლს, სადაც ნამდვილად არ არიან მზად, მიიღონ მოსკოვის მოწოდება აიკრძალოს გამოკვლევები „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის მიხედვით.

„მშვიდობას გვთავაზობს“ — ასეთი სათაურით განმარტავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის განცხადებას საფრანგეთის **„ლუმანიტე“**, „საბჭოთა ხელმძღვანელმა, — წერს გაზეთი, — წამოაყენა უდიდესი მნიშვნელობის მთელი რიგი ინიციატივები, რომელთა მიზანია განიარაღებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის მიღწევა. სამწუხაროდ, ამერიკის მთავრობა არათუ აქამდე არ გამოხმაურებია მოსკოვის მიერ ადრე გამოვლენილ კეთილ ნებას, არამედ პირიქით, დემონსტრაციულად განახორციელა ბირთვული გამოცდები. გამოაცხადა რა მორატორიუმის გაგრძელების შესახებ, მოსკოვმა კვლავ მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს და სხვა ბირთვულ სახელმწიფოებს მიბაძონ სსრ კავშირის „მაგალითს. მსოფლიოს ხალხები ვაშინგტონისაგან პასუხს ელიან არა სიტყვით, არამედ საქმით“.

გამოცხადება

საბჭოთა კავშირმა წამოაყენა ისტორიული მნიშვნელობის ახალი სამშვიდობო ინიციატივები, რომლებიც შეეხებამება მთელი მსოფლიოს ხალხთა იმედებს, აღ ნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებაზე საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოხმაურებებში. თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, საზღვარგარეთის ქვეყნების მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი თავიანთ კომენტარებში ხაზგასმით აღინიშნავენ: ისეთი წინადადებები, როგორიც ახლანდელია, შეიძლებოდა წამოეყენებინა მხოლოდ ნამდვილად მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს, რომელიც მიზნად ისახავს ბირთვული ომის საფრთხის აღკვეთას. აღ ნიშნულია, რომ საბჭოთა ინიციატივები პრაქტიკული განხორციელებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამრილის პლენუმის გეზისა და იმ დებულებებისა, რომლებსაც შეიცავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტი.

● ლიბია

თეთრი სახლის მზაკვრული მიზნები

ლიბიის რევოლუციის ხელმძღვანელის მ. კადაფის განცხადება

ტრიპოლი. ამერიკის შეერთებული შტატები თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლი ყველა ხალხის მთავარი მტერია, განაცხადა ლიბიის რევოლუციის ხელმძღვანელმა მ. კადაფიმ. ახორციელებს რა სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკას, თეთრი სახლი ისწრაფვის მიაღწიოს თავის ჰეგემონისტურ მიზნებს მთელ მსოფლიოში. ამასთან იგი თავისი დასავლეთევროპელი მოკავშირეების ინტერესებსაც კი უგულებელყოფს და ამ კონტინენტის ხალხები ბირთვულ მძვინვარებად გადაიქცია.

მ. კადაფიმ მოუწოდა ლიბიელ ხალხს მზად იყოს ნებისმიერ მოვლენაში მოიგერიოს შეერთებული შტატებისა და ისრაელის შეიარაღებული აგრესია. მან განაცხადა, რომ კვლავ არის საომარი მოქმედების წარმოქმნის საფრთხე. თუ ამერიკელები მაინც შეეცდებიან შეიარაღებულ შემოჭრას, ხაზგასმით აღნიშნა ლიბიის ხელმძღვანელმა, „მიწა უნდა იწვოდეს აგრესორთა ფეხქვეშ“. მ. კადაფიმ მაღალი შეფასება მისცა მსოფლიოს ხალხების სოლიდარობას ლიბიის ჯამაჰირიისადმი, რომელიც ეწინააღმდეგება ვაშინგტონისა და თელ-ავივის აგრესიულ გეგმებს, ამასთან განსაკუთრებით აღნიშნა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების და უწინარესად საბჭოთა კავშირის პოზიცია.

კაირო. ამერიკის იდმინისტრაცია კვლავ იდგას ხმელთაშუა ზღვის რაიონში დაძაბულობის ეხკალაციის კურსს. როგორც მენის სააგენტო იუწყება, სუეცის არხით მეწყმული ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში შევიდნენ ავიამზიდი „სარატოგა“ და ხუთი თანმხლები ხომალდი და შეუერთდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მე-6 ფლოტს, რომელიც ლიბიის სანაპიროს ახლოს დაცურავს. ამრიგად, მეთვალყურეთა მონაცემებით, ვაშინგტონმა თავისი ხომალდების რიცხვი ამ რაიონში 30-მდე გაზარდა.

ნიუ-იორკი. სამხედრო სასწავლებელში გამოსვლისას, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა, ჯ. შულცმა თქვა: გამორიცხული არ არის, რომ ვაშინგტონი გამოიყენებს ძალას როგორც ისეთ ქვეყნებთან „საქმის წარმოების“ ხერხს, როგორიც არის ლიბია.

● იემენი

დაძაბული ვითარება

კუვეიტი. აქ მოხული ცნობებით, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ადენში კვლავ დაძაბული ვითარებაა. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში მომხდარი შეიარაღებული შეტაკებების დროს დაზიანდა საერთაშორისო აეროპორტი, მთელი რიგი შენობები. მოწინააღმდეგე მხარეებმა მთელ რიგ იაონიებში ვერ უზრუნველყვეს ცეცხლის შეწყვეტა, რაც მორიგებით იყო გათვალისწინებული. მოდის ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობები პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის მთელი რიგი წევრების ადგილსამყოფელის შესახებ.

ბორკილდება ღონისძიებანი შეტაკებების შეწყვეტისათვის, ვითარების ნორმალიზაციისა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაობის აღდგენისათვის.

ფოტოინფორმაცია

„გერმან ჰაკის“ 200 წლის იუბილე

ორასი წლის იუბილე აღინიშნა ქალაქ გოთას (გდრ) „გერმან ჰაკის“ საგამომცემლო ფირმამ. ფართოდ არის ცნობილი ამ გამომცემლობის პროდუქცია— გეოგრაფიული ატლასები, კედლისა და კონტურული სასწავლო რუკები, რომლებსაც 40-ზე მეტ სახელმწიფოში, უწინარესად, სოციალიზმის ყველა ქვეყანაში აგზავნიან. ახლულებს რა საექსპორტო შეკვეთებს, „გერმან ჰაკი“ გეოგრაფიულ მასალას 120 ენაზე უმზადებს.

აღნ-საკდესის ფოტო.

მოკლედ

დამასკო

◆ **სირიის დედაქალაქში გაიხსნა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მუდმივი კომისიისა და არაბეთის ქვეყნების ლიგის მორიგი სესია. მის მუშაობაში მონაწილეობენ არაბული აღმოსავლეთისა და აფრიკის 24 ქვეყნის დელეგაციები.**

გახსნის ცერემონიაზე გამოვიდა სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ა. რ. ყასმი. მან განაცხადა, რომ არაბეთისა და აფრიკის ხალხების საერთო მიზანია გადაჭრით უკუაგდონ იმპერიალიზმის, სიონიზმისა და რასიზმის აგრესიული ხრიკები, მიაღწიონ დასავლეთის ტრანსეროვნული კორპორაციებისაგან ეკონომიკურ დამოუკიდებლობას.

ბეირუთი

◆ **200 ქაცი დახოცილი და სულ ცოტა 600 დაჭრილი — ასეთია წინასწარი შედეგები კატაიბის პარტიის ქრისტიანთა შეიარაღებულ დაჯგუფებებსა და „ლიბანის ძალებს“ შორის აღმოსავლეთ ბეირუთში მომხდარი სისხლისმღვრელი ჭეტაკებებისა, რომლებშიც ჩართული აღმოჩნდა ლიბანის არმია, ვითარება ამ რაიონში კვლავ დაძაბულია.**

რომი

◆ **გაფიცვა განაახლეს იტალიის მედიცინის მუშაკებმა, რომლებიც მოითხოვენ შრომის ანაზღაურების გადიდებას. გაფიცვაში მონაწილეობს სახელმწიფო საავადმყოფოების დაახლოებით 100 ათასი ექიმი, რომლებიც პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ ხელისუფლებმა უარი თქვეს დაკმაყოფილონ მათი სამართლიანი მოთხოვნები. როგორც ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა დეგანმა აღიარა, იტალიელ ექიმებს ყველაზე დაბალი ხელფასი აქვთ დასავლეთ ევროპაში. ავადმყოფებისათვის სახწრაფო სამედიცინო დახმარების გასაწევად საგაფიცვო კომიტეტმა შექმნა სპეციალური სამსახური.**

● ავშ

ჯ. შულცის უცნაური ინტერპრეტაცია

ვაშინგტონი. ფორტ-მაკნეირის სამხედრო ბაზაზე მუშაობა დაამთავრა პენტაგონის მიერ მოწყობილმა კონფერენციამ, რომელიც „ლოკალური კონფლიქტების“ პრობლემებს მიეძღვნა. კონფერენციის მუშაობის ბოლო დღეს სიტყვა წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯ. შულცმა.

არსებითად მთელი მისი სიტყვა წარმოადგენდა ცდას, „თეორიულად“ დაეესაბუთებინა სხვა ქვეყნებისა და ხალხების საწინააღმდეგო უაჩაღური პოლიტიკა, რომელსაც „ტეროორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ ლოზუნგით ახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატების იდმინისტრაცია. საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაური ამაოდ ცდილობდა როგორმე დამტკიცებინა იმის „სიმართლე“ და „მართლზომიერება“, რომ ამერიკა თავის სამხედრო ძლიერებას იყენებს „ტეროორისტებისა“ წინააღმდეგ, როგორც ვაშინგტონში ნათლავენ შეერთებული შტატებისათვის არასასურველ მთავრობებსა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს, პროგრესული ორგანიზაციების წევრებს. შულცმა პირდაპირ განაცხადა, სამხედრო ძალის გამოყენება აუცილებელია ლოკალური აქციების განხორციელებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური და დიპლომატიური მიზნების მისაღწევად.

სახელმწიფო მდივანს არ დაუმალავს, რომ იდმინისტრაცია ყოველგვარ მოქმედებას „ტეროორისტების“ წინააღმდეგ განახორციელებს თვითნებურად და უწინარეს ყოვლისა „ამერიკის ინტერესებისათვის“. „მოკავშირეებსა და მეგობრებს უფლება აქვთ არ მოიწონონ ჩვენი აქცია ან წამოგვიყენონ საწინააღმდეგო მოსაზრებები. მაგრამ ეს არ უნდა აფერხებდეს გადამწყვეტ გავლენას“, — განაცხადა მან. თავისი პოზიციის დასასაბუთებლად შულცმა საერთაშორისო სამართლის ცოტა არ იყოს უცნაური ინტერპრეტაცია წარმოადგინა. მისი თქმით, „

ბუნება — სიცოცხლის კარი

„ჩვენ ბუნებაში ვართ — იგი ჩვენშია. ცოცხალნიც მისნი ვართ და მკვდარნიც.“

ვაჟა-ფშაველა

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტში ხაზგასმულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის და ეფექტიანობის გადიდების აუცილებლობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე. ცხადია, რომ ყოველივე ეს ითვალისწინებს ბუნებრივი რესურსების უფრო ინტენსიურ გამოყენებას. ამ დოკუმენტებში ცალკე პარაგრაფად არის გამოყოფილი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხები.

გარემომცველი ბუნების დაცვა-აღდგენა, ცხადია, განუყოფელია გონიერი ბუნებათსარგებლობისაგან. ამიტომ მეცნიერების წინაშე დასმულია რაციონალური ბუნებათსარგებლობის ორგანიზაციის საკითხი.

ყოველგვარი ჩარევა ბუნების ელემენტების ჩამოყალიბებული ურთიერთდამოკიდებულების სისტემაში გარკვეულ დარღვევებს გვიქადის, რომლებიც წინასწარ უნდა გაითვალისწინონ და ყოველმხრივ შეაფასონ სპეციალისტებმა. ამავე დროს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზი უნდა შეეთანხმოს ბუნების მდგომარეობის პროგნოზს. ეს პროგნოსტიკული შეთანხმება კი ბუნების გარდაქმნის გეოგრაფიული პროგნოზია. თანამედროვე გეოგრაფია, ლანდშაფტის ცალკეული ელემენტების მდგომარეობისა და გარდაქმნის გაღრმავებულ ანალიზთან ერთად, აწარმოებს გამოკვლევებს დისციპლინათშორის დონეზე და ერთად აჯერებს საბუნებისმეტყველო და სოციალურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა შედეგებს. სამეცნიერო დასკვნების სწორედ ასეთი სინთეზი იძლევა ბუნების დაცვის რთულ პრობლემატიკაში ორიენტაციის საშუალებას.

ჯერ კიდევ 50-იან წლებში სამეცნიერო წრეებში წამოიჭრა და სერიოზული მსჯელობის საგანი გახდა ეგრეთ წოდებული გეოგრაფიული სამსახურის შექმნის საკითხი. ასეთი სამსახურის დანიშნულება უნდა ყოფილიყო სამეცნიერო ექსპერტიზა სხვადასხვა მასშტაბის სამეურნეო ღონისძიებათა ბუნებაზე გავლენის შეფასების დროს. გარდა ამისა, გეოგრაფიულ სამსახურს უნდა დაკისრებოდა ავტორიტეტული მრჩეველის როლი იმ სადირექტივო და საგეგმო ორგანოების სისტემაში, რომლებიც უფლებამოსილი არიან მიიღონ გადაწყვეტილებანი ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის საქმეში. გეოგრაფიული სამსახური იმთავითვე წარმოდგენილი იყო აგრეთვე როგორც შესაბამისი სამეცნიერო გამოკვლევების კოორდინატორი.

გეოგრაფიული სამსახური ამჟამად კიდევ უფრო საჭიროა, რადგან თანამედროვეობას თან სდევს გრანდიოზული პროექტები და გეგმები, რომლებიც ბუნების გეგმაზომიერ თუ ძალუნებურ გარდაქმნას გულისხმობს.

1985 წლის ოქტომბერში ქ. კიევში გაიმართა საკავშირო გეოგრაფთა საზოგადოების VIII ყრილობა, სადაც სერიოზულად დაისვა საკითხი გეოგრაფიული ექსპერტიზის აუცილებლობის შესახებ. და, მართლაც, განა შეიძლება განვახორციელოთ ისეთი დიდი მოცულობის სამუშაოები, როგორსაც მოითხოვს დღანარეთა ჩამნადენის ტერიტორიული გადანაწილება, წყალსაცავების შექმნა, ახალი დასახლებული პუნქტების გაშენება, სატრანსპორტო გზებისა და გადამცემი ხაზების გაყვანა და ა. შ., თუ არ გვექნება წინასწარ დამუშავებული კვალიფიციური გეოგრაფიული შეფასება, რომელიც გაითვალისწინებს როგორც ლანდშაფტის ცალკეული ელემენტებისა და მთლიანად ფიზიკურ-გეოგრაფიული კომპლექსების ინტერესებს, ასევე საზოგადოების განვითარების აუცილებელ მოთხოვნებს.

ამ მოლო ხანს დიდი ყურადღება ეთმობა საქართველოს წყლის რესურსების ტერიტორიულ გადანაწილების პრობლემას, რადგან აღმოსავლეთი საქართველო, საბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის რეგულირების აპრობირებული და კარგად გამოცდილი ფორმაა დარგობრივი ხასიათის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების მუშაობა. ზღვის სანაპიროს ამგვარ მასალის დინამიკის დაწვრილებითი შესწავლის საფუძველზე და პლაჟის ზოლში ადამიანის მოქმედების უარყოფითი გაელენის შეფასების შედეგად სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვისნაპირდაცვამ“ ძალიან მოკლე ვადაში (1981 წლიდან) მოახერხა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე არა მარტო ნაწილობრივ დანგრეული, არამედ მთლიანად განადგურებული პლაჟების აღდგენაც კი. ეს აღიარებული ფაქტია, რომელიც მკაფიოდ დასტურებს ბუნებრივ კანონზომიერებათა მიზნობრივი შესწავლის დიდ მნიშვნელობას და გეოგრაფიული კვლევის აუცილებლობას ბუნებრივი გარემოს



ნათლიზე გამოდის კავკასიის უდიდესი მიწისქვეშა მდინარე მჭიშთა, რომელიც ოქვე მსობუქ ნისლში იმოსება. იგი აშკარად ბუნების ფენომენურ მოვლენებს განეკუთვნება. მჭიშთის ცივი და გამქვირვალე წყალი უკვე კარგა ხანია გამოყენებულია გონივრულად. ეს ლამაზი მიწისქვეშა მდინარე ასაზრდოებს მძლავრ საკლმახე მეურნეობას, რომელიც შავიზღვისპირეთის საკურორტო მეურნეობას მაღალხარისხოვანი დიეტური პროდუქტით ამარაგებს, მჭიშთის თევზებას არავითარი ზიანი არ მიუყენებია ბუნების ფენომენისათვის. პირიქით, მდინარის სათავე დაცულია ყოველგვარი ხელყოფისაგან, რადგანაც მას საქმით დაინტერესებული ქომაგი გამოუჩნდა.

არ არის გასაკვირი, როდესაც უხვდებიტიანი კარსტული წყაროები და მიწისქვეშა მდინარეები უპირველესად სარესურსო პოტიციებიდან ფასდება, რადგან უმეტეს შემთხვევაშე მათ მაღალხარისხოვანი სასმელი წყალი გამოაქვთ დღის სინათლეზე და წყალმომარაგების საუკეთესო ობიექტებს წარმოადგენენ. ასე მოხდა იწრის მშვენიერი მღვიმოვანი ჩანჩქერის შემთხვევაშიც, რაზეც ჩვენს რუბრიკაში უკვე საკმაოდ იყო მსჯელობა. ჯერჯერობით ბუნების ეს შესანიშნავი ქმნილება არ მოქცეულა საკანონმდებლო აქტებში მარწუხებში და, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არც არასოდეს არ მოექცევა. იწრის წყალი ქალაქ ჯვარის წყალმომარაგებისათვის არის ნავარაუდები, რისთვისაც აუზის წყალგამყოფში ძვირად ღირებული გვირაბი და სპეციალური მილსადენი უნდა გავიდეს. მაგრამ ნუთუ ღირს იმ რამდენიმე ათეული ლიტრი, თუნდაც ძალიან მაღალხარისხოვანი წყლისათვის, უზომოდ დიდი ხარჯი გავიღოთ და თანაც გავწიროთ ბუნების ეს იშვიათი ქმნილება? ქალაქი ჯვარი განლაგებულია ენგურჰესის კაშხალის ქვემოთ. ამიტომ საცალებით შესაძლებელია მისი წყალმომარაგება გადაწყდეს წყალსაცავის ხარჯზე. ამგვარი ღონისძიება განხორციელდა ქ. თბილისის მიმართ, რომელმაც მიიღო დამატებითი სასმელი წყალი ჟინვალჰესის წყალსაცავიდან.

ბუნების იშვიათ ძეგლთა შორის უნდა დავასახელოთ მქუხარე ჩანჩქერი მდინარე გეგის ხეობაში (მდ. ბზიფის აუზი) და სამლამაზი ჩანჩქერი მდინარე აბაშის სათავეებში. ეს ისეთი ობიექტებია, რომლებიც დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ჰგვრიან ადამიანს და ამიტომ ჩვენი რესპუბლიკის რეკრეაციული მეურნეობისათვის სათანადო მნიშვნელობა ენიჭებათ. არანაკლებად საინტერესოა უხვდებიტიანი მიწისქვეშა ნაკადების გამოსასვლელები: რეჩხი და ოლორი, წაჩხური და მანიკვარა, რეპრუა და კამანი. ყველა მათგანი და საქართველოს კიდევ მრავალი სხვა ბუნების ძეგლი განსაკუთრებული მოფრთხილებისა და ყურადღების ღირსია.

ყველასათვის ცხადია, რომ მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების საკითხი უმნიშვნელოვანესი სამეურნეო ამოცანაა და მის გადაწყვეტას წინ არაფერი დაუდგება. მაგრამ არსებობს სასმელი წყლის მოპოვების კერები, რომლებიც ათვისების განსაკუთრებულ პროექტს საჭიროებენ. პროექტი და გარემო, პროექტი და ბუნების ძეგლი — ეს ფრაზები, რომლითაც იწყება ჩვენი კორესპონდენციები, ბუნებრივი რესურსების გონივრულ მოქმეკრნენ, ფრთხილი გამოყენებისათვის და მათი აუცილებელი გუმჯობესებისათვის, შენარჩუნებისათვის მოგვიწოდებს.

გ. გიგინეიშვილი,
ავტორი.

ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის რეგულირებისა და მართვის გარკვეულ ფორმებს, რომლებიც ერთმანეთს არ გამორიცხავს. გეოგრაფიულ-საკონსულტაციო სამსახური, გეოგრაფიული ანუ ეკოლოგიური ექსპერტიზა საჭიროა ყველა შემთხვევაში, როდესაც ბუნებათსარგებლობის ან ბუნებრივ გარემოზე ზეგავლენის საკითხები ისმება. ბუნების დაცვა-აღდგენითი მიმართულების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები კი აუცილებელია ბუნების ცალკეული ელემენტების, როგორიც არის, მაგალითად, წყალი, ჰაერი, ნიადაგი, მცენარეული საფარი, წიაღისეული და სხვ. მიზნობრივი მომსახურეობისათვის. აქაც მეცნიერების როლი წინა პლანზეა წამოწეული, რომელსაც დაკისრებული აქვს ადმინისტრაციული, მატერიალური და, თუ გნებავთ, მორალური პასუხისმგებლობაც კი.

ახლა რამდენიმე სიტყვით შეეხოთ არა საერთოდ გარემოს დაცვის პრობლემებს, არამედ, კერძოდ, გასაოცარი სამყაროს შენარჩუნების საკითხებს, რომელსაც ბუნების იშვიათი ძეგლები ქმნიან.

ბზიფის ქედის ძირას მზის სი-

ძეგლი: მოაგვაგინი, ცდომილნი

პროექტი და გარემო

8. ერთი მთლიანი პრობლემა

ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის რეგულირების აპრობირებული და კარგად გამოცდილი ფორმაა დარგობრივი ხასიათის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები. ზღვის სანაპიროს ამგვარი მასალის დინამიკის დაწვრილებითი შესწავლის საფუძველზე და პლაჟის ზოლში ადამიანის მოქმედების უარყოფითი გაელენის შეფასების შედეგად სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვისნაპირდაცვამ“ ძალიან მოკლე ვადაში (1981 წლიდან) მოახერხა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე არა მარტო ნაწილობრივ დანგრეული, არამედ მთლიანად განადგურებული პლაჟების აღდგენაც კი. ეს აღიარებული ფაქტია, რომელიც მკაფიოდ დასტურებს ბუნებრივ კანონზომიერებათა მიზნობრივი შესწავლის დიდ მნიშვნელობას და გეოგრაფიული კვლევის აუცილებლობას ბუნებრივი გარემოს

ტყეში — მოსაკითხით

თოფეგით კი არა, სურნელოვანი თივით, მარცვლეულისა და ძირხვენების ნარჩენებით დატვირთული ოთხთვალებით მიდის ტყეში ყინვიან დღეებში ლიტვის ათიათასობით მონადირე და ბუნების სხვა მოყვარული.

ჯერ კიდევ შემოდგომაზე ტყის მდელოებზე მოაწყვეს ბაგები ყოველი სახეობის ნადირისათვის, „განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ტყის მშვენებას — შველს, რომელიც, როგორც საკეტერინარო სამსახურმა დაადგინა, ,ხშირად იღუპება გაცივებისაგან. ამიტომ შვლებს აუშენეს ფარდულები — თავისებური სასადილოები და საძინებლები, რომლებშიც სქელად დაფენილია ტოტები და ბალი.

რესპუბლიკაში დღენიადაგ ამდიდრებენ ფაუნას. ადამიანის ზრუნვის წყალობით აქაურ ტყეებში გეგმაზომიერად იზრდება ცხენ-ირმების და ირმების, ტახების, შვლების, ბევრი სხვა გარეული ცხოველის რიცხვი.

ტრუდი, 16.I.

ვილნიუსი.

ფრინველი გაგვიძრავლდება

ჩვენში ახლა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება იმისათვის, რომ უფრო მოძრავლდეს ნადირ-ფრინველი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გარეულ ფრინველთა ზოგიერთი სახეობა მაინც კლებულობს. განსაკუთრებით იკლო მწყერმა, ხოხობმა, დურაჯმა, გნოლმა და კაკაბმა. ძირითადად ამის მიზეზია შხამ-ქიმიკატების უწესო ხმარება, ნაწვერალის მაშინვე გადახვნა, ნამჯისათვის ცეცხლის წაკიდება და სხვა. ამას, ცხადია, ბრაკონიერობაც ემატება.

ვინ იცის, რამდენჯერ ითქვა და დაიწერა, რომ საჭიროა სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ველ-მინდვრების მოწამვლის დროს ზედმიწევნით ზუსტად დაიცვან აგროწესები და მითითებები, მაგრამ ვინ არის გამგონი? ერთი სიტყვით, ისპობა დიდძალი სხვადასხვა ნადირ-ფრინველი და შინაური პირუტყვი. ისიც ხშირად თქმულა და დაწერილა, რომ კომბაინს მაშინვე არ უნდა მოსდევდეს გუთანი, ნამჯის გადაწვა ხომ მავნებლობაა. ხანძარი მარტო ნამჯას — საქონლის ამ უყოთიან საკვებს როდი შთანთქავს პირწმინდად, მან საზღვრები არ იცის და ფრიად სასარგებლო ნარგავებსაც ანადგურებს.

ხშირად გაიგონებთ ჩვენი მონადირეებისაგან, რომ აღარსად აღარაფერია სანადირო. არცთუ უსაფუძვლოა ეს საყვედური. მათ ნადირობა, ბუნების წიაღში გასვლა და დასვენება უნდათ. ზოგი ალბათ იტყვის: კი, ბატონო, ვინ უშლით, მიბრძანდნენ და დისვენონო. ეს არ არის მართალი! ვერანაირი დასვენება ვერ შეედრება ნადირობის სიამოვნებას.

და აი, გადაშენებისგან რომ ეხსნა ბუნების მშვენებანი — ხოხობი, გნოლი, დურაჯი, კაკაბი, მწყერი... საქართველოს მონაკაშირის პრეზიდიუმმა ხელი მოჰკიდა საშვილიშვილო საქმეს — მუხრანის მახლობლად, ქსნის ჭალაში ქმნის ხოხბის მოსაშენებელ ექსპერიმენტულ მეურნეობას, რომელიც ყოველწლიურად გამოზრდის 50.000 ფრთა კოლხურ ხოხობს და გაუშვებს ჩვენს სამონადირეო სავარგულებში. ხოხობის მშენებლობა დაიწყო 1982 წელს. მას აშენებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს 23-ე ტრესტის მე-14 მოძრავ-მექანიზებული კოლონა (ტრესტის მმართველი — რ. არაბული, სამმართველოს უფროსი — ვ. პაპუაშვილი, სამუშაოთა მწარმოებელი — ლ. ძულიაშვილი). როგორც მშენებლები იძლევიან პირობას, ხოხობე 1986 წელს უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ. იგი სპეციალური პროექტით შენდება და მხოლოდ ჩვენებურ ხოხობს გამოზრდის. კოლხური ხოხობი ენდემური ჯიშია და მასზე დღეს დიდი მოთხოვნილებაა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. ხოხობზე მეურნეობას სათავეში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი გიორგი წინამძღვრიშვილი უდგას.

ბ. ბუთხუზი.

გვპასუხობენ „კომუნისტისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ქამპუჩიის დელეგაცია აფხაზეთში

სოხუმი, 17 იანვარი. აფხაზეთში ჩამოვიდა ქამპუჩია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია, რომელსაც მისი ბენერალური მდივანი მინ ქხინი მეთაურობს.

დელეგაცია მიიღეს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოში. სტუმრებს გააცნეს აფხაზეთის ისტორიული წარსული, დღევანდელი მიღწევები მისი მშრომელებისა, რომლებიც სკკპ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის ემზადებიან.

მინ ქხინმა მადლობა გადაიხადა გულთბილი მასპინძლობისათვის. მან აღნიშნა, რომ „ქამპუჩიელი ხალხი ძმური მეგობრობისა და მადლიერების გრძნობას განიცდის საბჭოთა ადამიანების მიმართ, რომელებიც დახმარებასა და მხარდაჭერას უწევენ სახალხო ქამპუჩიას ახალი ცხოვრების შენებაში.

აფხაზეთში ქამპუჩიის დელეგაციის სტუმრობის პროგრამა ითვალისწინებს სამრეწველო საწარმოების, „ოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დათვალიერებას, მხარის ღირსშესანიშნაობათა გაცნობას, საბჭოთა კავშირ-ქამპუჩიის მეგობრობის მიტინგში მონაწილეობას.

კონცერტები უფასოდ

ბალის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებისა და რაიონული კულტურის სახლის ინიციატივით ამ ფლიებში რაიონის საწარმოებში გაიმართა საყრილობო უფასო კონცერტები.

ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის გალის ფილიალში, სამგზავრო ავტოსაწარმოში, ხე-ტყის დამამუშავებელ კომბინატში, ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“ გალის ფილიალში, სატვირთო აგროსაწარმოში, ყრუ-მუნჯთა საწარმოო გაერთიანებაში, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში და სხვაგან, სცენის ოსტატებმა თავიანთი ხელოვნება წარმოუდგინეს მშრომელებს.

კულტურის დღეები დასრულდა რაიონულ კულტურის სახლში გამართული დასკვნით კონცერტით, რომელშიც თვრამეტი თვითმოქმედი კოლექტივი მონაწილეობდა.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს ბედიის, საბერიოს, სიდის, პირველი გალის, ფიჩორის, ოტობაიის, ზემო ბარღების, ოქუმის, გუდაველისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობათა ანსამბლებმა. კონცერტებს სამი ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო.

კონცერტები გაიმართება აგრეთვე იანვარ-თებერვალში რაიონის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ახალშენებლობებზე და ფაბრიკა-ქარხნებში.

ვ. ჯღარკავა.

სახალხო უნივერსიტეტი ვარციხეში

გურამ პატარაიას დოკუმენტური ფილმის „ქართული კულტურის ძეგლები საზღვარგარეთ“ დემონსტრაციით დაიწყო პირველი მეცადინეობა ვარციხის სახალხო უნივერსიტეტში. მისი გახსნა თითქოს წინ უძღოდა უნიკალური გამოქვაბული კომპლექსის 800 წლისთავის დღესასწაულს, რომელიც ითვალისწინებს ამ მთიანი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპის დაჩქარების ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებას.

სახალხო უნივერსიტეტის მსმენელები ასპინძის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები არიან. სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა და სამართლებრივი ცოდნის, ყოფა-ცხოვრებისა და ტრადიციების, კულტურისა და პედაგოგიკის ფაკულტეტებზე მათ ლექციებს წაუკითხავენ ცნობილი მეცნიერები და კულტურის მოღვაწენი. გაიმართა შეხვედრები, მეხუთეთის ამ ძველი კუთხის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის საკითხებისადმი მიძღვნილი საუბარი.

სახალხო უნივერსიტეტის რექტორად არჩეულია რაიონის მკვიდრი, საქართველოს ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ახალი ისტორიის განყოფილების გამგე, რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი შ. ღომსაძე.

საგასტროლო რუკაგეა თურქეთი და უნგრეთი

თურქეთის მუსიკის მოყვარულები გაეცნობიან სსრ კავშირის სახალხო არტისტს, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატს ჯანსუღ კახიძეს. 17 იანვარს იგი მოსკოვიდან საგასტროლოდ გაეშგზავრა ამ ქვეყანაში. კონცერტები გაიმართება ანკარასა და სტამბოლში. ადგილობრივი სიმფონიური ორკესტრი ჯანსუღ კახიძის ხელმძღვანელობით შეასრულებს ჩაიკოვსკის მეხუთე სიმფონიას, ,ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონიას, რიმსკი-კორსაკოვის ესპანურ „კაპრიჩიოს“. პროგრამაშია სსრ კავშირის სახალხო არტისტის როდიონ შჩედრინის „ავტოპორტრეტი“ — ვარიაციები ორკესტრისათვის, რომელიც ქართველმა დირიჟორმა პირველად შეასრულა მოსკოვის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე.

გასტროლები თურქეთში დამთავრდება 3 თებერვალს.

თანამედროვეობის დიდი დირიჟორი უწოდა ჯანსუღ კახიძეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა, ქვეყნის ,ომპოზიტორთა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ტიხონ ხრენიკოვმა. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ ქართველი დირიჟორი ნაწარმოების შესრულებისას ისწრაფვის გამოავლინოს ახალი ფერები, ახლებური ,ეფერადობა მიანიჭოს მას. ასე კითხულობს კახიძე კლასიკასაც და თანამედროვე მუსიკასაც.

მარტში ჯანსუღ კახიძეს ელიან უნგრეთში, სადაც იგი არაერთგზის გამოსულა.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

ბალერინის წუთფესვენება.

შ. კრიმსკის ფოტო.

,ალბანი სატშრნირო ორბიტა

ბაქოსა — ,ასკოვის დედაქალაქ ,ინსკში ,ასრულებულ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაზე ,ოგორც ,ოლეგონელმა ა. ბელოვუსმა ,ასრულა და ამ ტურნირის ერთ-ერთი გამარჯვებულია. მსოფლიოს ექსჩემპიონმა ა. კარპოვმა 6 ქულით დაამთავრა შეჯიბრება. ქულათა ასეთივე აქტივი აქვს კიდევ ორ მოჭადრაკეს.

მინსკსა და ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში მიმდინარეობს მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები. ტილბურგში თამაშობენ ი. იუსუპოვი და ჰოლანდიელი ი. ტიმანი. პირველი პარტია გადაიდო ტიმანის უპირატესობით. მინსკში კი გუშინ უნდა გამართულიყო რ. ვაჭანიანისა და ა. სოკოლოვის მეოთხე პარტია.

ტალინში დამთავრდა გამოჩენილი საბჭოთა მოჭადრაკის პ. კერესის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ფესტივალი. ამ საჭადრაკო ზეიმის დასკვნითი ღონისძიება გახლდათ ტურნირი შემოკლებული საკონტროლო დროთი. მსოფლიოს ექსჩემპიონმა რიგელმა მ. ტალმა 10,5 ქულით პირველი ადგილი მოიპოვა. მეორე ადგილზე გამოვიდა ლენინგრადელი ა. კოჩიევი — 9,5 ქულა.

ფეხბურთი. გთავაზობთ ლენინგრადში მიმდინარე ვ. გრანატკინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკთა გუნდების ტრადიციული შეჯიბრების მეოთხე ტურის მატჩების შედეგებს: სსრ კავშირი I-ბელგია — 1:0, გფრ-სსრ კავშირი II — 1:0, საფრანგეთი-აშშ — 2:0, ასპარეზობის ბოლო ტურის წინ გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: სსრ კავშირი I — 8 ქულა, გფრ — 7, საფრანგეთი — 5, სსრ კავშირი II — 2, ბელგია — 2, აშშ — 0.

თბილისს „დინამოს“ ფეხბურთელებმა მორიგი საკონტროლო-საწვრთნელი მატჩი გამართეს გაგრაში. ამჯერად მათი მეტოქე იყო ბულგარეთის ქალაქ ვარნის „სპარტაკი“. თბილისელებმა ეს მატჩი მოიგეს ანგარიშით 2:0. ორივე ბურთი გაიტანა მესხმა. „დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, სვანაძე, სულაქველიძე, ჭედია, კუდინოვი, ჟორდანია, ჯოხაძე, გურული, ცავა, ფეხნი, გაზაევი.

საუნისლავური სპორტი. იუგოსლავიის ქალაქ ბოხინის მაზლობლად გაიმართა მსოფლიო თასის გათამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება 4×10 კილომეტრზე სასთხლათშორო ესტაფეტაში. გაიმარჯვა შვეიცის ნაკრებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები.

მთავარი მიზანი — მსოფლიო თასი

ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს ამ ქვეყნის ცნობილი სპორტული მოღვაწე ოტავიუ პინტუ გიმარაესი. მან ამ პოსტზე შეცვალა ჟ. კოუტინიო. 62 წლის გიმარაესი 18 წლის განმავლობაში მეთაურობდა რიო-დე ჟანეიროს შტატის ფეხბურთის ფედერაციას. მან განაცხადა, რომ ახლა ბრაზილიელთა მთავარი ამოცანაა მეოთხედ დაეუფლონ მსოფლიო თასს. ბრაზილიაში ისიც გამოცხადდა, რომ ამ ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრების უფროს მწვრთნელად დაინიშნება სან-პაულუს საკლუბო გუნდის „კორინთიანსის“ ხელმძღვანელი რუბენს მინელი.

ა. მარჯანიშვილი

გარდაიცვალა სწავლული მეტყევე, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, 1939 წლიდან სკკპ წევრი, შრომის ვეტერანი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ალექსანდრე სიმონის ძე **მარჯანიშვილი.**

ა. მარჯანიშვილი დაიბადა 1905 წელს ქ. ქუთაისში, მოსამსახურის ოჯახში. 1928 წელს დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სატყეო სპეციალობის განყოფილება. 1929 წლიდან იგი მუშაობს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო განყოფილების ინსტრუქტორად. სხვადასხვა დროს იყო ქუთაისის ოლქის, ხაშურისა და თბილისის სატყეო მეურნეობის დირექტორის მოადგილე, შემდეგ დირექტორი, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსი, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე, სატყეო მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი, სატყეო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი სახალხო მეურნეობის საბჭოს სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

1965 წლიდან 1976 წლამდე ხელმძღვანელობდა მინისტრთა საბჭოს მთავარმომბარგების ხე-ტყისა და ქაღალდის მომარაგება-გასაღების სამმართველოს, იყო „მთავარმომარაგებაგასაღების“ კოლეგიის წევრი.

სატყეო დარგში, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ა. მარჯანიშვილს მიღებული ქონდა მთავრობის ჯილდოები.

ა. მარჯანიშვილმა, როგორც სპეციალისტმა, ხელმძღვანელმა ორგანიზატორმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რესპუბლიკის სატყეო დარგის განვითარებაში. მისი ხსოვნა მუდამ დარჩება კოლეგებისა და ახლობლების გულში.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო, დარგობრივი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „მერქანი“.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

ჩვენს ტელევიზიაზე

მოსკოვი

18 იანვარი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — 5. პაგანინი — სონატები ვიოლინისა და გიტარისათვის. 10.00 — ტელეჟურნალი მშობლებისათვის. „მარტივი — რთული ჭეშმარიტებანი“. 10.30 — ბურატინოს გამოფენა. 11.00 — ჯანმრთელობა. 11.45 — მხატვრული ტელეფილმი „ივანე ბაბუშკინი“ IV სერია. 12.50 — ყველასთვის და თითოეულისათვის“. 13.20 — ფილმ-სპექტაკლი „სიყვარულის პოემა“. 15.30 — ახალი ამბები. 15.45 — კალინინის სურათების გალერეა. 16.15 — ცხოველთა სამყაროში. 17.15 — თანამგზავრობა. 17.45 — პოეტური ანთოლოგია. ალექსანდრე ბლოკი. 18.00 კონცერტი. 19.55 — მხატვრული ტელეფილმები. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — შაბათ საღამოს. მუსიკალურ-გასართობი პროგრამა. 0.10 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.30 — რიტმული ტანვარჯიში. 10.00 — „დილის ფოსტა“. 10.30 — ჩვენი ბაღი. 11.00 — „სლოვენური გასაღები“ ციკლიდან „ვის ქუჩაზეა დღესასწაული?“. 11.35 — „მუსიკალური ნობათი“. 12.05 — მეცნიერთა სამყარო. 12.50 — მხატვრული ტელეფილმი „და ეს ყველაფერი მასზეა“. III სერია. 13.55 — დოკუმენტური ტელეფილმი „ინტროდუქცია“. 14.05 „იქ, სადაც იბადება ზღაპარი“. 14.55 — ფეხბურთი, ჭაბუკთა ტურნირი. ბელგიის ნაკრები — საფრანგეთის ნაკრები. მე-2 ტაიმი. 15.35 — მუსიკალური გადაცემა ახალგაზრდობისათვის. 17.35 — კინოპანორამა. 19.25 — დოკუმენტური ტელეფილმი „ნოვგოროდი“. 19.55 — ფეხბურთი. სსრ კავშირის ნაკრები-1 — გფრ-ს ნაკრები. მე-2 ტაიმი. 20.35 — კონცერტი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21.15 — ტელენარკვევი „ეს გემრიელი მარგებელი ჩაი“. 21.30 — მაგიდის ჩოგბურთი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ტელეფილმი „შენზე“. 24.00 — ახალი ამბები.

თბილისი

18 იანვარი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.30 — მოამბე. 10.05 — დოკუმენტური ფილმი. 10.30 — შევისწავლოთ ქართული ენა. 11.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ). 11.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 11.50 — „ბალეტის მოყვარულთათვის“ (განმეორებით). 12.15 — ქართული დოკუმენტური ფილმი „სიკო დოლიძე“. 12.45 — „ახალგაზრდული შეხვედრები“. I ნაწილი (განმეორებით). 13.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.50 — ახალგაზრდული შეხვედრები“. II ნაწილი (განმეორებით). 14.55 — ფეხბურთი ვალენტინ გრანატკინის სახელობის პრიზზე. ბელგია-საფრანგეთი. II ტაიმი (რეპორტაჟი ლენინგრადიდან). 15.35 — შევისწავლოთ რუსული ენა. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება. 16.15 პოეზიის ხუთი წუთი. 16.20 — „სამხრეთი საზღვრების სადარაჯოზე“ — სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 17.05 — თელავის მუსიკალური ფესტივალი. 17.50 — პოეზიის ხუთი წუთი. 17.55 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თხუთმეტი წლის შემდეგ“. 18.30 — მოსწავლეთათვის — „მუსიკის მოყვარულთა კლუბი“. 19.15 — სატელევიზიო ჟურნალი „მშენებლობა და არქიტექტურა“ — თბილისის განვითარების გენერალური გეგმა. 19.55 — ფეხბურთი ვალენტინ გრანატკინის სახელობის პრიზზე. სსრკ-I — გფრ. II ტაიმი (რეპორტაჟი ლენინგრადიდან). 20.40 — მოამბე“. 21.10 — სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის შესახვედრად — დიალოგი ყრილობის დელეგატთან. 21.25 — „მწერალთა ნობათი“ (განმეორებით) 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული პ